წელიწადი 1911 პირველი

ორშაბათი, 18 აპრილი № 15

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—2 მან. 3 თვით—1 მან.

**თითო ნომერი 5 კაპ.**

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ., უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

ორშაბათი 18 აპრილი № 15

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდე რედაქციაში (Головинскій просп. д. **МИРЗОЕВА**, № 32. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა

1911 წლისათვის

გაზეთ თემზე

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| წლიურად | 2 მ. 50 კ. |
| ნახევარი წლით | 2 მ. |
| სამი თვით | 1 მ. |

განცხადებათა ფასი:

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი | 15 კ. |
| უკანასკნელ გვერდზე | 10 კ. |
| ტექსტის შუაგულს | 20 კ. |
| სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა | 3 მ. |

რედაქტორ-გამომცემელი **გრიგოლ დიასამიძე.**

რედაქციის და კანტორის ადრესი: Головин. пр. д. **МИРЗОЕВА, 22, гдѣ книжный магазинъ „Новая Рѣчь“.**

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ

Тифлисъ. Баку. Батумъ.

SANITAS — Adresse télégraphique

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

ეს არის ახლა გასასუ-
ფად მომზადებულია

ფიჭვის წყალი

(СОСНОВАЯ ВОДА)

✖ რომელიც აგრილებს და წმენდავს ოთახში ჰაერს. ✖

ორივე საშუალება მომზადებულია საკუთრად თვით ამხანაგობაში.

ხელოვნური კბილები

გაკეთება ხელოვნური კბილებისა ოქროზე, კაუჩუკზე, ხელოვნურ სასაზე და უსასაოდაც, აგრეთვე სოლებით დამაგრებულ ფესვებზე. ქია ნაჭამ გაწმენდილ კბილებზე ოქროს ანუ ფაიფურის ხელოვნური კბილების ჩამოცმა. წინა კბილების და ღოჯების გასწორება სრულებით უტკივრად.

**კონსტანტინე ქავთარაძე.**

მიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

მუხრანიანთ ქუჩა, სახლი № 5.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის**

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 1/2—10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე კვირის გარდა 11 1/2—12 1/2-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.
**გ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 11 1/2—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.
**ვ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. 11 1/2—12 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.
**შ. ა. მიქელაძე**—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.
**გ. ვ. სოგოლევსკი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

**წამლობა „606“-ით**

რესტორანი

„კაფე-პარიზი“

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები“ სხვა და სხვ. ბუტერბროდები, ხაჭაპური.

✖ **საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.** ✖

**სადილები:** 2 ფერი—50 კ. 3 ფერი—70 კ. 4 ფერი—1 მან

მინერალური წყლები

ღვინო, არაყი, მაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ლუდი ბოთლებით და ჭიქებით.

ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. შეიძლება **საჭმელების მოთხოვნა ცალკე კარტითაც.** თვიურად შეღავათიანი პირობებია. ● ფასი ზომიერია. ● სრული სისუფთავე წესიერება.

პატივის-ცემით **თოფურია.**

მაღაზია

„ჩირაღდანი“

სასახლის ქ. ტელეფონი 145.

**ნაჭრების გაყიდვა. 18, 19, 20, 21, და 22-ს აპრილს.**

ფასის დიდი დაკლებით

იჯარით იძლევა

თავად ციციშვილების მამული „ზემო-საციციანოს-მთა“ მდებარე თბილისის გუბერნიის სამ მაზრაში: თბილისისა, გორისა და ახალქალაქისა. მამული შეიცავს დიდ ტყეს, საძოვარს, სახნავ-სათესს, სათიბს ადგილებს, წისქვილებს, ბაღებს, დასახლებულ სოფლებს და სხვ. ზომით არის დაახლოვებით 65.000 დესეტინა.

**დაწვრილებითი ცნობების შესატყობად უნდა მიჰმართონ: სოფ. ქარელს თავ. ციციშვილების კანტორას.**

19, 20, 21, 22, 23, აპრილს

იაფი ვაჭრობა

ყველა საქონლისა,

რომელიც დარჩა წარსულ სეზონიდან

ძმ. ალშვანგები,

სასახლის ქუჩა.

ექიმი

**გ. ფ. ნათიშვილი**

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღამ. 7—8 ს.

**ადრესი:** მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ტელეფ.** 487.

ექიმი

**რ. ს. დავთიანი.**

შინაგანი და ნერვების ავადმყოფობა.

დილით 12—1 ს.

საღამოთი 5—7 ს.

კოჩუბეევის ქუჩა, № 22

## თფილისი 18 აპრილი.

21 აპრილს უნდა მოხდეს წლიური კრება წერა-კითხვის საზოგადოებისა.

ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება თუ რამდენად საჭირო დაწესებულებად მიგვაჩნია იგი ჩვენი ეროვნულ-კულტურული საქმის ასაღორძინებლად.

უკვე გამოთქმული გვქონდა რამდენსამე წერილში 17 და 24 იანვარს, 11 აპრილსაც ზოგიერთი მოსაზრებანი, რომლის განხორციელებას, ჩვენის აზრით შეუძლია ძალიან წინ წასწიოს ეს ყოვლად სასარგებლო საქმე.

ჩვენ ყველა ამ მოსაზრებას აქ აღარ განვიმეორებთ. შევჩერდებით მხოლოდ ერთზე.

17 იანვრის ნომერში ჩვენ გამოვთქვით აზრი ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელთა და მოღვაწეთა საერთო კრების მოწვევის შესახებ.

სამწუხაროდ, ამ საკითხვისათვის არავის არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება აქამდის, თუმცა არა გვგონია მოიძებნებოდეს ჩვენში ისეთი ვინმე, რომელიც ამ აზრს არ სთვლიდეს მეტად საჭირო და საგულისხმიერო საკითხად.

სამწუხაროდ, ჩვენი პრესაც გულ-გრილათ დაუხვდა ამ საკითხს. იქნება ჰფიქრობს ყველა, რომ ეს საქმე ძნელად განსახორციელებელია და ამიტომ შორს იჭერს თავს. ჩვენ ასეთი ქცევა ამისთანა საჭირო საქმეში მომაკვდინებელ ცოდვად მიგვაჩნია.

ვცადოთ მაინც ერთხელ და შუამდგომლობა აღვძრათ სათანადო მთავრობის წინაშე.

თუ მთავრობა დარწმუნდება, რომ ჩვენი საერთო კრება არ გადასცდება პირდაპირ საგანს, ე. ი. მხოლოდ ის იმ საკითხების განხილვას შეუდგება, რომელიც შეეხება მხოლოდ სახალხო განათლებას, მაშინ უეჭველად ნებას დაგვრთავენ ასეთი კრება მოვიწვიოთ.

ამიტომ გვგონია, რომ მომავალმა საზოგადო კრებამ წერა-კითხვის საზოგადოებისამ ამ საგანს უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება, აარჩიოს საგანგებო კომისია ისეთ პირებისაგან, რომელნიც ამგვარ შუამდგომლობის აღძვრას იკისრებენ და პასუხის მგებელნი იქნებიან მთავრობის წინაშე განზრახულ კრების წესიერების და კანონიერების მხრით.

ნუ თუ არ შეიძლება, რომ წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენელთა კრება მოიწვიოს მთავრობის ნება დართვით და ამ კრებაზე მიიპატიჟოს თუნდ რჩევის ხმით ქართულ სახალხო განათლების საქმესთან ახლო მდგომნი პირნი?...

ამ გვარი კრების მოწვევა უფრო ადვილი მოსახერხებელი იქნება და იმედია, რომ მთავრობა უარს არ გვეტყვის.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ საზოგადო კრება ამ საყურადღებო საგანს დაწვრილებით და გულ-დასმით განიხილავს.

იმავე კრების ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ აგრეთვე იმ საკითხზე, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას უნდა ჩამოშორდეს ყველა ის საქმე, რომელიც მის პირდაპირ დანიშნულებას არ შეეხება. მაგალითად, მუზეუმის ნივთები, ისტორიული ხელ-ნაწერები და წიგნები უნდა გადაეცეს ქართველ სამეცნიერო საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც წ—კ. საზოგადოების საქმე შეჩერდება მარტო დაწყებითი სკოლების დაარსებასა და ამ სკოლებში სწავლა-განათლების რიგიან მოწყობაზე, მხოლოდ მაშინ მოწესრიგდება აღსრულება ამ მეტად ძნელი და რთული მოვალეობისა.

რაც შეეხება გამგეობის წევრების არჩევას, ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ საზოგადო კრებას გადასდებენ რამდენიმე დღით და კერძო თათბირს გამართავენ საჭირო პირების დასასახელებლად, თორემ ისე შეიძლება არჩევნებს შემთხვევითი ხასიათი მიეცეს, რაიც დიდი მავნებელი შეიქმნება საქმისათვის..

საჭიროა აგრეთვე საზოგადო კრებამ იზრუნოს და გასამრჯელო რამე დაუნიშნოს გამგეობის წევრებს, რომ მუყაითად მოეკიდონ თავის საქმეს.

საწევრო ფულის შემცირების შესახებ ვიტყვით პირდაპირ, რომ ეს ზომა სარგებლობის მეტს სხვას არაფერს მოიტანს.

დასასრულ, არ შეიძლება მწუხარება არ გამოვთქვათ, რომ ანგარიში და მოხსენებანი ძალიან გვიან დაიბეჭდა. ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ დღეს დაწვრილებით მათი განხილვა ვერ მოვასწარით. შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით.

## კიდევ ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამრავლების გამო.

გაზეთ „თემში“ (№ 13) მოთავსებული იყო ჩემი წერილი ქართული ჟურნალ-გაზეთების გამრავლების გამო. ჩემს წერილში ვამბობდი, რომ ქართველი ერის ცხოვრებაში დადგა აღორძინების ხანა და ქართველი საზოგადოება თავისს შინაურულ საქმეების მოწესრიგებას და მოგვარებას შეუდგა-თქო, ამიტომ, დავასკვნიდი მე, საჭიროა მეტი დაკვირვება, საქმის აწონ-დაწონვა და მოვლენების გონივრად ახსნა-განმარტება და ეს კი შეიძლება იმ დროს, როცა საჭირო სიმაღლეზე იქნება დაყენებული პრესა, რომელიც უნდა უკარნახებდეს საზოგადოებრივ ჯგუფებს, ამა თუ იმ მოქმედების გეგმას. ყოველი, ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს უმთავრეს მიზანს და ამიტომ მომქმედ ძალთა განაწილება და მათი ენერგიის დახარჯვა მიზან-შეწონილად და ეკონომიურად უნდა სწარმოებდეს, განსაკუთრებით კი ეს აუცილებლად საჭიროა, იმისთანა ერისათვის, როგორიც ჩვენი ერია. სად გვყავსან ჩვენ იმდენი შეგნებულად მომქმედნი და გონებრივი მხრით მომზადებულნი პირნი, რომ მათი ძალები დავქსაქსოთ და უსისტემოდ ვამოქმედოთ ცალ-ცალკე? მე დღევანდელი ვითარების გამო მომხრე ვარ ქართველ მომქმედ ინტელიგენტურ ძალთა, აგრე ვთქვათ, კონცენტრაციისა თვითეული მათგანის შესაფერის საზოგადოებრივ სამოღვაწეო დარგში. ჩვენ კი დღეს, უწინდელი ქართველი მთავრებისა არ იყოს, ერთი-ერთმანეთს უნდობლობით ვეკიდებით და, საუბედუროდ, განცალკევებული მიდრეკილება გამეფებულა ქართველ ლიტერატორთა წრეებში. თუ წინანდელ საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მთავრებს ამოძრავებდათ პირადული ინტერესები, თავის ამაღლება, დღეს სამაგიეროდ ქართულ პრესაში გამეფებულა უაზრო კინკლაობა და უიდეოთ დაქსაქსვა და ეს ისტორიული სენი თავიდან ჯერ კიდევ ვერ მოგვიშორებია.

ქართველი მკითხველი, ვფიქრობ დამეთანხმება, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა დაღარიბდა ამ უკანასკნელ წლებში თავისი შინაარსით. გადაათვალიერეთ ქართული ლიტერატურული ორგანოები და ამის ნიშნებს ბევრისაგან-ბევრს მოსძებნით შიგ. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ძალიან ძვირად შეხვდებით სერიოზულ სპეციალურ ხასიათის წერილებს ამა თუ იმ სამეცნიერო დარგიდან, სამაგიეროდ ისინი სავსე არიან „პუბლიცისტური“ ნაწარმოებით. თუ მკითხველი დაინახავს რაიმე შეუსაბამობას ჩემს გამოთქმულ აზრში—იმედია მოსცემს თავის თავს შრომას და გადაათვალიერებს ოთხი-ექვსი წლის წინად გამოსულ ქართულ ლიტერატურულ გამოცემებს და ნათლად დაინახავს მათს უპირატესობას თანამედროვე პერიოდულ გამოცემათა წინაშე. შესაძლოა ვინმემ იფიქროს მაშინდელი პირობები ხელს უწყობდენ პრესის შინაარსის სიმდიდრესო?.. ასეთ დასკვნაში დათანხმება ძნელია, ვინაიდგან დღეს მწერალს თითქმის შეუძლია სწეროს ის, რაც მას მოესურვება, რასაკვირველია მწვავე ფრაზების გამოკლებით, რომელთაც არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ ჩვენთვის.

აიღეთ 1900—4 წლების ქართული გამოცემანი, გადაათვალიერეთ ნ. ჟორდანიას, არჩ. ჯორჯაძის, ლასხიშვილის, ფ. მახარაძის, ივანე გომართელის, კიტა აბაშიძის და სხვების წერილები და მაშინ ღრმათ დარწმუნდებით, რომ განსხვავება შინაარსის მხრით დიდად-დიდია მაშინდელ და თანამედროვე პრესას შორის.

დღეს პრესა დემოკრატიზაციის გზას ადგია, მაგრამ ჩემის აზრით, დემოკრატიზაცია არ ნიშნავს გონებრივ დაქვეითებას, აზრის გაღატაკებას. აზრების დემოკრატიზაციას თან უნდა სდევდეს აზრის გაღრმავება და სერიოზული მსჯელობა. რუსეთის პრესა უფრო დიდი ხანია რაც დემოკრატიზაციის გზას დაადგა, მაგრამ იქ მას არ გამოუწვევია აზრის სიღარიბე. აიღეთ მესამოცე წლების ჩერნიშევსკის ჟურნალი „სოვრემენიკი“ (თანამედროვე“) და „რუსკოე ბოგატსტვო“ („რუსეთის სიმდიდრე“)—უკანასკნელი უკეთესია და არა უგლახესი „სოვრემენიკზე“. ანდა რითი სჯობია 1900 წლების „ნოვოე სლოვო“ (ახალი სიტყვა“) თანამედროვე „სოვრემენი მირს“ („თანამედროვე ქვეყანას“)?

მეცნიერული ფილოსოფიური ხასიათის წერილები ჩვენი მწერლების მხედველობიდან სრულიად განდევნილი არიან. ადამიანს ეგონება (რასაკვირველია, ქართულ გამოცემების მკითხველს), რომ ფილოსოფიური აზრის განვითარება შეჩერებულიყოს ერთს წერტილზე, გაყინულიყოს. ქართველი მკითხველი კარგი ხანია გადაეჩვია ასეთი წერილების კითხვას, ვინაიდგან ასეთ საგნებზე წერილებს აღარავინ ათავსებს ქართულს გამოცემებში. შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყოს, რომ კერძო, სპეციალური, ორგანო არა გვაქვს ასეთი აზრების გასავრცელებლად? ასეთი ლიტერ. ორგანო ჩვენ არ მოგვეძებნება, მაგრამ მსურველები და ფილოსოფიურად მომზადებული პირები რომ გვყვანდენ, მაშინ ასეთი ორგანოც თავს იჩენდა, ანდა არსებულ ჟურნალ-გაზეთობაში მაინც დაბეჭდავდენ თავიანთ წერილებს. სამწუხაროდ, სინამდვილე გვეუბნება, რომ ფილოსოფიურად მომზადებული პირნი სანთლით საძებარნი გამხდარან ქართველებში.

საზოგადოებას და ჟურნალ-გაზეთების მესვეურთ შეუძლიათ ცხოვრების მიერ წამოყენებული რომელიმე საკითხთაგანი გაიხადონ ცენტრალურ საკითხად, მაგრამ ასეთი მუშაობა ლიტერატურაში არ გულისხმობს სხვა კითხვების შესახებ გვერდზე ახვევას: კვალ-და-კვალ ცენტრალური საკითხების გვერდით უნდა ადგილი ეკავოთ სხვა კითხვებსაც, თორემ ერთი და იგივე ტემით მკითხველს თავს მოვაბეზრებთ და ბევრს ვერაფერსაც ვერ შევმატებთ.

ქართველი მოზარდი ახალ-თაობა დიდის სიამოვნებით წაიკითხავდა სამშობლო ენაზე დაწერილ სამეცნიერო-ფილოსოფიურ წერილებს მაგრამ მათი უქონლობის გამო იძულებული ხდება თავისი წყურვილი რუსული გამოცემებით მოიკლას და ეს კი საზარალოა ეროვნული კულტურისათვის.

ეხლა შევეხებით „თემის“ მეთაურში გამოთქმულ აზრს ქართული ჟურნალ-გაზეთების გამრავლების შესახებ. მეთაური ამბობს: „ჩვენ ცოტა ლიტერატორები გვყავს. ყველას კალმის ხელში მჭერელი ლიტერატორად ხომ არ ჩაითვლებაო“. და სწორეთ ეს გარემოებაა მისაღები მხედველობაში. ჩვენ ლიტერატორები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ძლიერ ცოტა გვყავს და ამავე დროს ლიტერატურული გამოცემანი კი ბევრად-ბევრი, რადგანაც „ყველას კალმის ხელში მჭერელს“ თავი ლიტერატორად მოაქვს. თუ ლიტერატორები ცოტა გვყავს არსებულ ლიტერატურულ გამოცემებში ვინ თანამშრომლობენ: ნამდვილი ლიტერატორები, თუ „ყველა კალმის ხელში მჭერელნი“?...

მეთაური მომხრეა კონკურენციისა მწერლობაში. ძლიერ პატიოსანი, მაგრამ კონკურენცია ისეთ დროს, როცა გასაყიდი ბევრი არაფერი მოგვეძებნება და მასთან გასაყიდად დამზადებული საქონელი ნაკლები ხარისხისაა—რა სარგებლობას მოუტანს ასეთი საქონლით ვაჭრობა ან საქონლის პატრონს, ან თვით მყიდველს?

როცა საკონკურენციო არაფერი გვაქვს, რითი უნდა გავუწიოთ ერთმანეთს მეტოქეობა?!.

მეთაურში ჩემი აზრის საწინამდეგოთ მოყვანილია აგრეთვე შემდეგი საბუთი: „ადგილობრივ გაზეთს ხელში იღებს წასაკითხავად ისეთი ადამიანიც, რომელიც მანამდინ გულგრილად უყურებდა ნაბეჭდს, იმიტომ, რომ ყველაფერი რაც კი მის თვალწინ ხდება, ამ გაზეთში ისტება.“ ეს საბუთი თავისთავად საგულისხმოა. მაგრამ ეს გარემოება ვერ გახდება სტიმულად, მამოძრავებელ ძალად, ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილობრივი ორგანოების გამოსაცემად, ვინაიდან ასეთი ფსიხოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ადვილი საქმე იქნება არა-ადგილობრივი გამოცემითაც: არსებული ორგანოს ფორმატის გადიდებით და ინფორმაციული კორესპონდენტული მხარის გაუმჯობესობით და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებით. დასახელებულია კიდევ ერთი საბუთი, რომ განათლებულ ქვეყნებში ყოველ კუთხეს თავისი ორგანო აქვსო... მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამ შემთხვევაში წავბაძოთ განათლებულ ქვეყნებს, რადგან ჩვენი წაბაძვის სურვილს შესაძლებლობა თან არა სდევს. სად დასავლეთი ევროპა თავისი კულტურით, მოქალაქობრივი ცხოვრების განვითარებით და სად ჩვენ? იქ ყოველი კუთხე, ყოველი მოზრდილი რაიონი მოითხოვს თავის სურვილების გამომხატველ ორგანოს. გორი, თელავი, დუშეთი ახალციხე კულტურულ ცენტრებს წარმოადგენენ თავიანთ მაზრებში, მაგრამ რაც უნდა წავბაძოთ განათლებულ ევროპას, არც ერთი ჩვენთაგანი თანამედროვე პირობებში მომხრე არ იქნება აღნიშნულ ქალაქებში ორგანოების გამოცემისა.

გრ. სვირ-სკანდელი.

ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ გრ. სვირ-სკანდელს არა სურს გაიგოს ჩვენი მთავარი აზრი. ჩვენ სრული წინააღმდეგი ვართ ეგრეთ წოდებული „ოპეკის“—ძალდატანებითი მზრუნველობისა.

პიროვნება, ჯგუფი თავისუფლად უნდა მოქმედებდეს გაზეთის თუ ჟურნალის დაარსებაში. თუ გამოცემის დაარსების აზრი დაიბადა, გამოცემაც დაარსდა და გასაღდა—ეს უტყუარი ნიშანია ამ გამოცემის საჭიროებისა. სჩანს ამ გამოცემამ საზოგადოების მოთხოვნილება უკვე დააკმაყოფილა.

თუ სასაცილოა პირველი შეხედვით გორში, თელავში, სიღნაღში გაზეთის დაარსება ეს იმიტომ, რომ იქ საზოგადოებრივი ცხოვრება არ განვითარებულა. თორემ, რომ ცხოვრება იქ სხვანაირად წასულიყო, საზოგადო საქმეებს სიცხოველე დასტყობოდა და გაზეთიც დაარსებულიყო, რა იქნებოდა აქ გასაკვირალი?..

სჩანს, როცა საჭიროება მოითხოვს, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი საშუალებაც ჩნდება. გაზეთის გაჩენა და მისი გასაღება ხომ დაგვიმტკიცებდა, რომ დასახელებულ ქალაქებში კულტუროსნობამ იმატა.

ასე რომ, ჩვენ კი იმას არ ვამბობთ, რომ გინდა თუ არა უსათუოდ უნდა დაარსონ გაზეთი საქართველოს ყველა ქალაქში, თუნდა ეს კუთხე ჩამორჩენილი იყოს კულტურას და ცივილიზაციას, არამედ, როდესაც არსდება გამოცემა, არავინ არ უნდა მისცეს თავის თავს ნება ხელი შეუშალოს მას საქმის დასაწყისშივე. მხოლოდ მომავალს შეუძლია უტყუვრად დაგვიმტკიცოს, საჭირო იყო თუ არა ადგილობრივი გაზეთის დაარსება...

რაც შეეხება ლიტერატორების დაქსაქსვას, უნდა ვსთქვათ, რომ, თუ ეს იდეური დაყოფა არ არის, რასაკვირველია, ამგვარი მოვლენა არ არის სასურველი. მაგრამ, როდესაც პიროვნება რომელსამე გამოცემაში შეზღუდულია, როგორღა უნდა მოიქცეს მაშინ? ჩვენის აზრით მას ყოველთვის უფლება აქვს ცხადად დაანახოს საზოგადოებას უნარი და შნო გაზეთის საქმის დამოუკიდებლად წარმოებისა და ცალკე ორგანო დაარსოს თავის აზრების გასავრცელებლად.

თაოსნობა ყოველგვარ საქმეში ისე ძნელია, რომ არც ერთ ჩვენგანს ზნეობრივი უფლება არა გვაქვს ვისმე ვუკიჟინოთ, რად იწყებ ამა და ამ საზოგადო საქმესო. ხოლო თუ ხეირიანად არ არის წარმოებული ეს საქმე, მაშინ, თქმა არ უნდა, ყველა უნდა კრიტიკით დაუხვდეს და წყევა-კრულვითაც მოიხსენიოს...

## საინტერესო წიგნი.

ამას წინად ჩვენ აღვნიშნეთ გაზ. „თემის“ (№ 11) ფურცლებზე, რომ პეტერბურგში გამოვიდა დიდად საყურადღებო წიგნი ლიუდვიგ ბერნგარდის სათაურით „პოლონელთა ბრძოლა თავის თავის დაცვისათვის პრუსიაში“ და გამოვსთქვით სურვილი, რომ კარგი იქნებოდა რომ მისს შინაარსს ქართულად გადმოიღებდნენ.

ახლა რამდენიმე ეგზემპლიარი ამ წიგნისა უკვე მოვიდა თბილისში და ჩვენ შემთხვევა გვქონდა გავცნობოდით მის შინაარსს. ჩვენ მოვუთხრობთ მკითხველებს ამ მოკლე ხანში, დაწვრილებით თუ როგორ იბრძვიან **ლეგალური** საშუალებით ეროვნულ ელფერის შერჩენისათვის პოლონელები.

ახლა კი რამდენიმე სიტყვით დავახასიათებთ თვით წიგნს.

ავტორი ამ დიდი ნაშრომისა ეკუთვნის გერმანელ პატრიოტებს, რომელნიც მოვალეობად სთვლიან ბრძოლა გაუწიონ პოლონელებს, რადგანაც ამათი კულტურა იმდენად მძლავრად მაიჩნიათ, რომ ფიქრობენ ამ მხრით დიდი საფრთხე მოელით პრუსიელებს.

ამისდა მიუხედავად ბ. ბერნგარდს საოცარის მიუდგომლობით და ზედ-მიწევნით შეუგროვებია საჭირო მასალა და შეუსწავლია. ამიტომ მის წიგნს წაიკითხავს გულ-დასმით აგრეთვე თვით პოლონელიც.

ბ. ბერნგარდს დიდი წვალება გამოუვლია, სანამ ყველა საჭირო მასალისათვის თავი მოუყრია. ცალკე სახელმწიფო დაწესებულებიდან არ აძლევდენ მასალებს, ცალკე თვით პოლონელებიც ჰმალავდენ.

ავტორის სიტყვით „პოლონელები დიდი ოსტატები არიან საიდუმლოს დაცვაში; ისინი ძალიან შორს მჭვრეტი ფსიხოლოგები არიან ამ საქმეში, ისე რომ ძალიან ეხერხებათ რომელიმე შემთხვევით გამომჟღავნებულის ამბის ან მოვლენის მაშინათვე გაქარწყლება.“

როგორც სამართლიანად შენიშნავს ცნობილი პეტრე სტრუვე რუსულ გამოცემის თავის წინასიტყვაობაში ლიუდვიგ ბერნგარდის გამოკვლევა საყურადღებოა იმიტომ, რომ იგი მოგვითხრობს, **თუ როგორ კულტურამ და დისციპლინამ აღორძინა პოლონელთა ერი, შექმნა და კიდევაც ჰქმნის პოლონელთა მძლავრ დემოკრატიას, რომელსაც ღონე მიეცა დაუპირდაპიროს თავისი კულტურა გერმანულსა.**

სოფლებსა და ქალაქებში დაარსებულია წვრილი გამსესხებელი კასები და პროფესიონალური კავშირები. ეს დაწესებულებანი ექვემდებარებიან ცენტრალურ ბანკს და გამგეობას. ყოველივე პოლიტიკას უარჰყოფენ, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ძლიერად კულტურულ ეროვნულ საქმეს ემსახურებიან.

ამის წყალობით პოლონეთი თავად-აზნაურობის და დატაკ ბეჩავ გლეხობის ქვეყნიდან გარდიქმნა მძლავრ დემოკრატიულ კუთხედ. თავად-აზნაურობას თანდათან ეკარგებოდა მნიშვნელობა და პოლიტიკური გავლენა. სამაგიეროდ გლეხობას ემატებოდა ძალა და გავლენა.

ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა პრუსიის პოლონეთში ეკონომიურ ორგანიზაციებს, საზოგადოდ კოოპერატიულ ეკონომიურ მუშაობას.

იქ სადაც კოოპერატიების შექმნა არ შეიძლებოდა ზოგიერთ გარეგან მიზეზების გამო, იქ ვითარდებოდა ინდივიდუალური **ეკონომიური** მოღვაწეობა.

ამგვარი მუშაობა ისევე საპატიოა, როგორც სხვა საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწეობა, ამიტომ საჭიროა მისი გაძლიერება ყველგან, რომ ხალხს ეროვნული ელფერი არ დაეკარგოს.

ამიტომ სრულიად სამართლიანად შენიშნავს ამ საგულისხმო გამოკვლევის კრიტიკოსი ს. კოტლიარევსკი, რომ ლიუდვიგ ბერნგარდის წიგნი იმითი არის შესანიშნავი, რომ დაბეჩავებულ საზოგადოებას უთითებს იმ სხვა და სხვა ლეგალურ საშუალებაზე, რომელსაც შეუძლია სარგებლობა გაუწიოს მას თავის თავის დაცვისათვის მძიმე უთანასწორო ბრძოლაში...

გ.

## სოფელ ალის აოხრება.

როცა ჩემ სოფელში ვარ ხოლმე, ძალიან მიყვარს მოხუცებულ სოფლელებთან საუბარი. იმათ ქცევასა და სიტყვა-პასუხს ისევ ძველებური ქართული სული უდის.

ერთხელ ერთმა მათგანმა სადილზე ჩვეულებრივად ჩემი სადღეგრძელო დალია და სხვათა შორის „კურტანიძის“ დღე მისურვა. მე გამეღიმა და ვჰკითხე: „მათუსალასი“ ხომ არ გინდოდა გეთქვა?

— არა, ჩემო ბატონო! „მათუსალა“ შორეულია და ვინ იცის, მართლა იყო თუ არა? კურტანიძე კი აგერ არის თვალის წინ!..

— ვინ კურტანიძეა?!.

— ერთი, სიკვდილისაგან დავიწყებული, გლეხი!.. აქედან, სასახლიდან, სულ ერთი საათის სავალი არ იქნება მის სოფლამდი. უხსოვარ დროიდან ცხოვრობს და არ კვდება. ისე კი სდნება თან-სწორად ხატის სანთელივით. რომ ნახოთ ასე ბრძანებთ: ათი-თორმეტი წლის ბავშვიაო. თვალსაც უჭრის, კბილი არ აკლია და გაფაჩუნება არ გამოეპარება. სწორედ სასწაულია... სასწაული!.. მეორე დღეს ურემი გაუგზავნე, რომ ჩემსა ჩამოსულიყო. სწყენოდა და უარი შემოეთვალა: „მე ხომ ჩემი შვილიშვილი არა ვარ რომ დავარდნილი ვიყო და ურმით მეპირვებოდეს სიარულიო? მეც დავანებე თავი. სწორედ ჰაივნიდან შევნიშნე, რომ ვიღაც ერთი პატარა ბავშვი მოდიოდა ჩემსკენ. ამოვიდა კიბეზე, დადგა ჩემ წინ და ზდილობიანად დამიკრა თავი, კურტანიძე გახლავარო!.. რომ თეთრ-ხუჭუჭ-თმასა და თეთრ წვერ-ულვაშს არა, მართლა ბავშვი მეგონებოდა. გაოცებულმა, მივუთითე სკამზე. გაჭირვეულდა. დიდხანს არ აპირებდა დაჯდომას, ვითომ ზრდილობით, მაგრამ რომ აღარ მოვეშვი, დაჯდა.

კურტანიძე შენა ხარ?

— დიახ. მე გახლავარ!

— სადაური ხარ?

— არც სადაური? ქვეყანას აღარ ვეკუთვნი და ზეცამ არ მიმიღო?..

— დიდი ხნისა ხარ?

— ვინ დასთვლის?! ასე უნდა ვიყო მეორედ მოსვლამდის. არ ვკვდებოდე და ნელ-ნელა ვდნებოდე!.. დაილოცა განგება!..

— აგრე დაბეჯითებით, რომ ამბობ, რა იცი მერე?

— როგორ არ ვიცი?.. მე თვითონ ჩავუთქვი ჩემ თავს.

— ჩაუთქვი?!

— დიახ! სისულელითა და გამოუცდელობით: ერთხელ, პატარაობისას სამწყესურში ვიყავი ყვირილის პირად. ბნელი ღამე იყო. უცბად ხმაურობა შესწყდა და ჩამოვარდა უცნაური სიჩუმე!.. ნათქვამია: „ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო“. ალბათ ყვირილას წაეძინა იმ დროს. ერთი უეცრად რაღაცამ დაიჭექა, ავიხედე მაღლა, მინდოდა ცისთვის შემეხედა, მაგრამ თვალი ველარ გავუმართე: ცა გახსნილიყო და ნათელი მომაყარა... მომაგონდა, რომ ცის გახსნას თუ ადამიანი დაესწრო, რასაც ინატრებს აუსრულდებაო. მეც, მეტი რომ ველარ მოვასწარი, „ცხონებ-ქონების“ მაგიერად სიცოცხლე ვინატრე და მიტომაც აღარ ვკვდები.

— ძალიან კარგი გინატრია!— დავეთანხმე ღიმილით—ქონება აქვე რჩება კაცს და ცხონება მაინც არ ასცდება შენისთანა კაცს. შრომა-მუშაობა იგივე ლოცვაა და ოფლი მუშის, სასუფევლის გზასა რწყავს...

— მეც ეგ მაწუხებს რომ ოფლის მაგიერ, სისხლით არის ჩემი საიქიოს გზა მორწყული.

— რას ამბობ?!

— არავის ვეუბნები, გულში მაქვს ჩარჩენილი, მაგრამ ღმერთს რას დავუმალავ?!.

— კაცის მკვლელი ხარ?

— მთელი სოფელი გავსწყვიტე!.. თუმცა უნებურად მაგრამ, ბრალი კი მაინც მე უნდა დამედვას!..

— მინდა მოგახსენოთ, როგორც მოძღვარს, მაგრამ ჯერ ნება მომეცით, შევისვენო, დაღალული ვარ და მერე მოგიყვებით!.. სადილობა მოახლოებული იყო. მეც დავეთანხმე. ნასადილევს ორივეს წაგვეძინა მეცა და ჩემ სტუმარსაც და რომ გამოგვეღვიძა, მერე მიამბო შემდეგი:

პირველად რომ რუსებმა იმერეთში შემოსვლა დააპირეს, კორბოულზე აირჩიეს გზა. წერეთელმა გამოიყვანა საწერეთლო ჯარი და შეუკრა გზა. ჩავხერგეთ გზა, გავაკეთეთ საფრები და ჩავუჯექით. ნაბძანები გვქონდა, სანამდი ნიშანს არ მოგვცემდა სარდალი, ხმა არ ამოგვეღო. ბევრი აღარ გვიცდია, მოგვესმა ბარაბანის ხმა. მოდის ჯარი და წინმოუძღვის ერთი ვიღაც ჯინჯილებიანი უზარ-მაზარი კაცი და ათამაშებს ჯოხს. ჩვენ რომ ველარ დაგვინახეს, პირდაპირ მოაწყდენ საფარს. გავარდა თოფი და წაიქცა ჯინჯილებიანი. მაშინ ავტეხეთ საერთო სროლა. ჯარმა დასძახა, „ურაა!“ და შემოგვიტია, მაგრამ რას გახდებოდა? კამბეჩის სისხლი ხევებს ვეფარეთ და ნიშანსაც არ ვაცდენდით. სამჯერ მოგვაწვენ და სამჯერვე გავაბრუნეთ. რომ გაუჭირდათ, შევიდენ ტყეში, მარცხნივ გადაუხვიეს, რომ ჩვენთვის თავი მოეარათ, მაგრამ აქაც ჭალელები ისხდენ, აბაშიძეები, სულ მარჯვე-მარჯვე ვაშკაცები, თავისის საყმოთი. მე ავედი მაღალ ხეზე, მოვექეცი წვეროში და იქიდან გადავძახე: არიქა ჭალელებო! მარჯვეთ დახვდით ნუ გაუშვებთ მეთქი და სხვანი... ასტყდა იქაც სროლა და დამარცხდა ჯარი. გაბრუნდა უკანვე, მაგრამ რაღა პირით ჩავიდოდა ქალაქში? დავმარცხდით— იმას ხომ ველარ ეტყოდა უფროსებს? ტყუილა კი არ არის ნათქვამი: ციხე შიგნიდან გატყდებაო!“ თურმე იმ ჯარს წინ ქართველი მოუძღოდა უფროსად, მაიორი კალატუზიშვილი და იმას მოჰყავდა იმერეთში ჯარი. ჩემი დაძახილი: „ჭალელებო მარჯვეთ!“ იმან თურმე ალელებათ გაიგონა და იფიქრა: ალელებმა გვიღალატეს სწორეთო. სოფელი ალი ზედ საზღვარზეა. ახლა სოფლათაც აღარ არის სახსენებელი, თვარა მაშინ ქალაქად ითვლებოდა. ჰქონდა დუქნები, ჰყავდა ვაჭრები და სოფელიც კაც-მრავალი იყო. მისი საყდარი, არც ერთ შენობას არ ჩამოუვარდებოდა ქართლში: უზარ-მაზარი თლილი ქვის, ქვითკირის გალავნით და გალავანს გადაღმა გაშლილ დიდ-მინდვრით. სწორეთ ამ მინდორზე გაშალა ჯარმა ბამბის კარვები და დაბინავდა. მაშინ ქართლი და რასაკვირველია, ალიც რუსების ხელში იყო. ვინ რას იფიქრებდა? მაგრამ კალატუზიშვილს კი თურმე სულ სხვა განძრახვა ჰქონდა, საყდრის გვერდით რომ დაბინავდა. ვნებათ კვირა იყო. აღდგომა, რომ თენდებოდა, ცისკრის დარეკეს და მთელმა სოფელმა, დიდმა და პატარამ, ყველამ, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულმა, **ხატის სანთლით** ხელში, დიდ ეკლესიაზე მოიყარა თავი. ლიტანია რომ აუშვეს და სამჯერ შემოუარეს საყდარს, მიადგა მღვდელი საყდრის კარებს და შესძახა: „აღახვენით ბჭენი თქვენი თავისანი და შევიდეს მეუფე დიდებისაო“!—„ვინა არს ესე მეუფე დიდებისაო“! უპასუხეს შიგნიდან: „უფალი ძალთა მთავარი არს მეუფე დიდებისაო!“ და ჰკრა წიხლი კარებს შესამტვრევად. ამ დროს გავარდა თოფი და მიჰქედა კეფაში ცხელი ტყვია მღვდელს. გააგდო ჯვარი და, გაიშხლართა საფეხურზე. შეშფოთდა მრევლი. გაისმა ირგვლივ „ურა“ და დაერია ჯარი სოფლელებს. შესწყდა „ქრისტე აღსდგას“ ხმა და მხოლოდ ხიშტებზე აგებულ დედაშვილის წივილ-კივილი გაისმოდა. კაცებმა იშიშვლეს ხანჯალი, მაგრამ რაღას გახდებოდენ!.. ასე ამოვარდა მთელი სოფელი ზედ აღდგომა დღეს!.. მასუკან დიდი ხანია, მაგრამ (დაილოცა ღვთის განგება) ის საყდარი ისევ ისე დგას, თითქო გუშინ აუგიათო. მართალია დღეს გაცივებულია, წირვა-ლოცვა აღარ არის, კარებიც ჩამოხსნილია, მაგრამ წმინდათ რის შენახული, ვერაფერი პირუტყვი შიგ შესვლას ვერ ბედავს და მხოლოდ მტრედები ბუდობენ შიგ. მოგახსენებენ, ის მტრედები მაშინ მოკლულ ბავშვების სულებია და დღესაც კიდევ სა[illegible] სოფელი!..

— აი რა დიდი ცოდვა მიმიძღვის მე!.. „ჭალელები“ რომ არ დამეძახნა მე, მაშინ „ალელები“ გადარჩებოდენ ხიფათს!..სთქვა, ამოიხვნეშა და ჩაქინდრა თავი.

— ეგ უნებური ცოდვაა! არ მოგეკითხება!! ვანუგეშე მე. ეგ ყველა კარგი მაგრამ, რომ მაინც ვერ გავიგე, რამდენი წლისა ხარ?

— უხსოვარია ჩემი წლოვანება!.. არ მოგახსენე?!. ყიზილბაში, რომ ქალაქს შემოესია, მას უკან რამდენი ხანია? თქვენ უნდა უკეთ მოგეხსენებოდესთ!..

— ას ათი წელიწადი!

— ჰო და მაშინ იქ უნცროსი შვილი მომიკლეს!..

— მაშ კი ყოფილხარ კაი ხნის!!

— რა ბრძანებაა!.. ჟამიანება შავ ქირს რომ ეტყვიან, ის გამოვლილი მაქვს. მეფე რომ თათრებში გადავარდა, ტრაპიზონს ვახლდი ბატონ ჩემ წერეთელს!.. ვაი! ვაი! რა დრო დაგვიდგა მაშინ!..

— ქუთათელ-გენათელი რომ წაიყვანეს...

— ქუთათელ-გენათელი რომ წაიყვანეს და, დიდი ივანე აბაშიძე მოკლეს ახალციხეში, ეს სულ გუშინ იყო...

— მაშ კი ყოფილხარ დიდი ხნის.

— რა ბრძანებაა?! ახლა ვარ ასე გაქვავებულსავით და არ ვიცი რაღას ვუცდი? სოფელში ერთ რამეს მირჩევენ სოფლელები: მაგდენი ხნის რომ ხარო და პატრონი არა გყავსო... და მართლაც, მერვე მოდგმას მოვესწარი, მაგრამ ნათესავთაც აღარავის ვახსოვარ! ჰო, პატრონი არავინა გყავსო, ითხოვე და მთავრობა ლუკმას გაგიჩენსო და ნეტავი თუ მართლა? მე, აპა, მთავრობა რაღას მიცნობს, მაგრამ თქვენ, რომ ინებებდეთ და გაზეთში ჩამაგდებდეთ, მადლს მოისხამთ!.. ისეთის გრძნობით მთხოვა, რომ მეც იმედი ვეღარ გაუტეხე და დავპირდი.—ახლა გავიგე, რომ ის, ვისაც თავი უკვდავი ეგონა, ორის წლის წინათ დაუმარხავს სოფელს.

აკაკი.

## დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში.

(დასასრული *)

როგორი იყო ის კერძო და საზოგადო ცხოვრებაში?

მოსიყვარულე და გრძნობიერი გულისა, ოჯახში მუდამ წარბ-გაშლილი, მხიარული: სადილ-ვახშამზე უყვარდა ოხუნჯობა, ზმებით ლაპარაკი, ხუმრობა-მასლაათი საღამოობით დიდის ხალისით გვიკითხავდა რასმე მშვენიერის, იშვიათის გამომეტყველებით.

ამ დროს ჩვენ მაგიდას ვუსხედით ხოლმე გარშემო. მამა-კაცები პაპიროსით პირში, ქალები ხელ-საქმით. კითხვის შემდეგ უყვარდა მოსმენა მუსიკისა. მუსიკის ხმებზე მიდი-მოდიოდა ოთახში ხელებ უკან გაწყობილი და შესაფერ ხმას დაჰღიღინებდა.

*) იხ. „თემი“ № 14,

# ფელეტონი

## ბულბულის აღსარება.

ბულბულმა სთქვა: როცა ტბაში
ყიყინობენ ბაყაყები,
მაშინ ენა მიქვავდება!..
მათ სიმღერას ვერ ავყვები!!

—

მაგრამ როცა მიწყნარდება,
მინაბული არე-მარე,
ვარსკვლავები ჰკიაფობენ
და ქათქათებს მაღლათ მთვარე.

—

იღვიძებს და იშმუშნება,
გრძნობით სავსე, ტყე და ველი
და სიოსაც სუნნელება
მოაქვს ვითა საკმეველი.

—

და ან ვარდი, გულის დარდი
ჩემ წინ ტურფად გაიშლება
მაშინ ჰმუნვა უცნაური
მომაწვება... ამეშლება.

—

ვიტანჯები... იმ ტანჯვაში
არის რაღაც ნეტარება!..
მაშინ ჩემი ჰიკჰიკ-კვნესა
მე თვით აღარ მეყურება.

—

მაგრამ იმ დროს ცა და მიწა
ჩემს აგზნებას უგდებს ყურსა
და აფასებს იმ ჩემ ტანჯვას,
ვით მსოფლიო სამსახურსა!..

—

და შემდეგ კი ბაყაყები
ჩვეულებრივ ყიყინობენ
და, თავისს ხმით თავ-მომწონე,
საბულბულოს ვერას გრძნობენ.

აკაკი.

## მოირა

ბუნების მშვენიერებით აღტაცებული ხალხი გარბოდა ველად. იქ დიდი, ძლიერი მოხდენილი ხის ძირში ქურუმი ამკობდა ბუნებას. ხმა მისი ხმა იყო ათასისა. ქურუმის ჰიმნი მხოლოდ ბუნების მოტრფიალის ყურთა სმენას სწვდებოდა.

საშუალო საუკუნოებში დასნეულებული სული მყუდრო და ბნელ ოთახში ინანიებდა ცოდვებს, მაგრამ გულით სურდა მისი საიდუმლო სხვებსაც გაეგო, რომ ბოროტება, შეცდომა გაემართლებინა თვისი. და, როცა ათასობით შეიკრიბებოდენ ეკლესიის თაღებთა შორის, მღვდელმსახურის სიტყვა ღვთის მშობლის ხატის წინ მხოლოდ აღსარება იყო ათასის. მღვდელმსახურის ხმა ესმოდა მხოლოდ მასავით მწუხარებით დასერილს.

მწერალიც მხოლოდ ერთისთვის სწერს, თავის გულის ნადებს აცხადებს,—მრავალს კი ელაპარაკება. მწერალი თანაც ქურუმია, რომელიც ღაღად ჰყოფს ათასთა მწუხარებას.

—

პირველ ხანებში მუსაიფი თვალებით ხდებოდა.

ქალი: მოგწონვარ?

ვაჟი: ძლიერ!

ქალი: გიყვარვარ?

ვაჟი: გაგიჟებით!

ქალი: გინდივარ?

ვაჟი: ჟრუანტელით!

ქალი: შემირთავ?

ვაჟი: არა!

ქალი: უხეირო!

—

ქალი უეცრად გათხოვდა; ვაჟს გული ჩასწყდა. ეს ძველი, ჩვეულებრივი ამბავია: ქალი ღირსი იყო სიყვარულისა, და ვაჟს იგი უყვარდა; ვაჟი კი არ იყო ღირსი სიყვარულისა, და ქალს იგი არ უყვარდა.

მათ შორის ყოველთვის უცნაური განწყობილება სუფევდა.

აი ზოგიერთი სანიმუშო ბაასი მათ შორის.

ქალი: თქვენ ხომ უყვარხართ, რა გნებავთ მეტი?!.

ვაჟი: დიახ, ვუყვარვარ ზოგიერთს ხანდახან, მაგრამ 36,5 გრადუსამდის. მე კი მსურს თავდავიწყებითი, უანგარიშო, უსაზღვრო სიყვარული. მე მსურს, რომ კეკლუცი, დინჯი, საზოგადოებაში გართული ჩემთვის უდაბნოში წავიდეს, და მორიდებული, წყნარი, მორცხვი ფანჯარიდან გადმოხტეს ჩემთვის...

ქალი: და თქვენ რითი უპასუხებდით? თვალს თვალში გაუყრიდა და ძლიერ დაკვირვებით დაეკითხებოდა ქალი.

ვაჟი: ჩემსა სიყვარულს, ვით ზღვას უსაზღვროს, ვერ დაიტევდა ცხოვრების ზღუდე!

მხიარულად, ღიმილით უპასუხებდა ვაჟი. ვაჟის გულწრფელობაში ქალს იჭვი არ შეჰქონდა. სიტყვები საამოდ ესალმუნებოდა სმენას, მაგრამ მხიარული ღიმილნაკრავი ქცევა არ მოსწონდა და აღარ უნდოდა ბაასის განგრძობა ქალს.

—

ვაჟი: ჩვენებურს ქალს ან ჯარის კაცივით უნდა მოახსენო: მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მიყვარხართ და ხელსა გთხოვთ ან და ველურივით უნდა სტაცო ხელი, მიიკრა გულზე და კოცნით, ალერსით დაათრო. სიტყვების მუსიკა, მიხვრა-მოხვრა, სახის გამომეტყველება—უნაზესი ჯაშუში გრძნობისა, არაფერს ეუბნებიან ჩვენებურ ქალს.

ქალი: ძლიერ სცდებით.

—

ასე გადაკვრით რაღაცას წლიდან წლამდე ელაპარაკებოდენ ერთმანერთს. ვერც ერთი ვერ ბედავდა აშკარათ გულის ნადების გამოთქმას. უეცრად ქალი გათხოვდა, თუ გაათხოვეს, სხვამ კი წაიყვანა ცოლად. ვაჟს გული ჩასწყდა. ეს ძველი ამბავია: ქალი ღირსი იყო სიყვარულისა, და ვაჟს იგი უყვარდა; ვაჟი კი არ იყო ღირსი სიყვარულისა, და ქალს იგი არ უყვარდა.

—

სასადილო ოთახი. კანკელს საჩრდილობელი აფარია. მკრთალი სინათლე. სამოვრის ჩუხჩუხი არღვევს სიჩუმეს. ქმარი შინ არ არის.

ვაჟი: ასე მიდის დღეები უსიამოდ ჩემთვის, უსარგებლოდ სხვისთვის...

ქალი: რატომ?

ვაჟი: რატომ... ბედის-წერა, იღბალი, მოირა...

ქალი: თქვენც ცრუმორწმუნეობას მიჰყევით?

ვაჟი: არა, ეს ცრუმორწმუნეობა არ არის. ეს რწმენა წინად განგებისა, რწმენა, რომ ჩვენს მოქმედებაზე, სურვილზე, ზნე-ჩვეულებაზე, ხასიათზე არ არის დამოკიდებული ცხოვრება, როგორც ყოველი ადამიანისა, ისე ერისა; რომ თვით უსულო საგნები ემორჩილებიან რაღაც განუზომელს, შეუსწავლელს, გაუგებარს ძალას ღრმად არის ჩაჭედილი ყოველს რელიგიაში და ეხლა თვით მეცნიერებაშიაც აპირებს გადასვლას. განგება უფლისა იგივე იღბალი არ არის? მოირა განა უფრო ცხადათ ბერძნულის შნოთი და ლაზათით გამოთქმული სპარსელების იღბალი არ არის? და მართლაც დახედეთ, განა ვინც კეთილია იგი უყვართ? ვინც ჭკვიანია—იგი მართავს ქვეყნის საქმეს? ვინც მდიდარია—იგი ჰპოულობს უძვირფასეს სიამოვნებას. ზღაპარია მიზეზთა და შედეგთა შორის რაიმე კავშირის პოვნის იმედი...

მე ბერძნულმა მოირამ დამიწერა: „არც შენ და არც შენმა საყვარელმა ვერ ჰპოვოთ ქვეყნათ სიამოვნებაო“. რაც კი მყვარებია, ვინც კი მყვარებია, ვისაც კი ვყვარებივარ ყველაფერი დამსხვრეულა, გახრწნილა, მომკვდარა თავის უსიამოდ, სხვის უსარგებლოთ.

ნათლად მაგონდება ბავშვობის ერთი სურათი. მასწავლებელი მყვანდა, ძლიერ მიყვარდა. უნდა დამშორებოდა, არ ვიცი —რატომ. სახსოვრად მომიტანა კვერცხი, რომელშიაც თვალწარმტაცი გვირაბი იყო. თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი. ხატის წინ თარზე დავდე. ხატი თაროზე ოცი წელი მეტი ესვენა. კვერცხის შენახვის მერმე კი ერთი დღე არ გასულა, თარო ჩამოინგრა, ხატი გადარჩა (ო, სასწაულო!), კვერცხი დაიფშვნა. იმავ დღეს, როგორც შემდეგ გავიგეთ, მოეკლათ უწყინარი, ჩუმი მასწავლებელი.

ჩვენში ხშირად იციან პატარა ბავშვს მიათვისებენ: ცხვარს, ძროხას, ცხენს, ქათამს.

ჩემის დის ქორწილი იყო. დასაკლავ ძროხებში ერთი მომეწონა. ისეთი დიდი გამომეტყველი თვალები ჰქონდა. ისე სუფთა და გახვეწილი იყო. ბიჭებმა მითხრეს, მაკეაო. დედას ვთხოვე, ამ ძროხას ნუ დაკლავთ-მეთქი. ძროხაც არ დაჰკლეს და მე მაკუთვნეს. ხუთი თვის შემდეგ ძროხამ ხბო მოიგო. მოზვერი. ისეთი ლამაზი იყო. მალხაზი. ეშმაკი. ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, რომ ჩრდილში რომ დავწვებოდი გვერდში მომიწვებოდა. ვკოცნიდით ერთმანერთს. ზურგზე ხელს დავადებდი და ისე დავსეირნობდით ეზოში. სადაც უნდა ვყოფილიყავ, თუ კი ყურს მოკრავდა ჩემს ხმას, იქვე გაჩნდებოდა. პატარა მეგობრის სახელს ვფიცულობდი. ერთი წლის იქნებოდა ხბო რომ დაიკარგა.

ვიტირე.

მაგრამ საშინელება დაემართა ძროხას. ყანები აღებული იყო. საქონელს ყოველ დღეს აღარ მოდენიდენ ბოსელში. კვირაზე მეტი იქნებოდა, რომ ჩემი ძროხა არავის მოეკითხა: ძუძუ გამშრალი ჰქონდა.

ერთხელ ვიღაც გამვლელმა ეზოში ჩამოიძახა: ბიჭო, ექვთიმია, გადიხედე ხევში; ძროხა დამხჩვალა, თქვენი არ იყოს. მეც გავიქეცი. საზარი რამ ვნახე. ძროხა უკანა ფეხებზე იდგა; წინა ფეხები ჰაერში გაშეშებოდა; ხის ორკაპა შტოებში კისერი გარჩენოდა; მთელი ტანი უკვე მოდუნებოდა; თვალები ყვავებს ამოეკორტნათ, რომელნიც ეხლა ჰიებთან ერთად სხეულს დასეოდენ; პირუტყვი სულს ჯერ კიდევ ითქვამდა. წარმოიდგინეთ ასეთი საშინელება: ცოცხლათ რომ ლპებოდე და ნაწილ-ნაწილა რომ გჭამდენ.

ქალი: კმარა გვეყოფა.

ვაჟი: მე კი არ ვიცი, რომ შეგაწუხეთ. მაგრამ მუდამ მარტოთ. სულ მარტოთ ჩემს ბედთან, ჩემს აზრებთან ჩემს შეხედულებასთან გაჩერება—აუტანელია. თქვენთანაც ვითმენ, მაგრამ ზოგჯერ წამომცდება.

ქალი: რათ არ გაერთობით ცხოვრებაში. საზოგადოებაში მუდამ სდუმთ.

ვაჟი: ეგეც ბედია. ჩემი აზრი არც წიგნებიდან არის ამოკითხული, არც ცხოვრების დაკვირვებისაგან არის შედგენილი.... წიგნები და დაკვირვება მხოლოდ ამტკიცებდენ, რაც თან დამყვა. ისინი მიყვარს... მათი გამოთქმა კი შეუძლებელია, ისე შორს არიან ჩემის ნაცნობთა მსოფლმხედველობაზე. ხანდახან თვალთ-ვმაქცობ და ჩვეულებრივის თვალსაზრისით ვუყურებ საგანს, ჩვეულებრივათ ვლაპარაკობ, მაგრამ მე თვით არ მომწონს ჩემი ნათქვამი და ვდუმვარ... ვდუმვარ...სანამ ისეთ თქვენ არ შეგხვდებით...

ისმის რეკა. შემოდის ქმარი. სეანსი გათავებულია.

—

მაღლა გორაკზე დიდი უსწორ-მასწორო ეზო, ცუდათ შემოზღუდული აქა-იქ ჩამონგრეული ყორით. ნახევრათ დაქცეული, სახურავ დაფლეთილი, ფერწასული, ძველებური ოდა. ნიგოზი, მუხა, ალვის ხეები, ორიოდე ცაცხვი. ჩრდილი უკვე დაწოლილია.

იშვიათად აიღელვებდა გულს, რაც უნდა საწყენი რამ ყოფილიყო. არც ნამდვილი დარდის ჩვენება იცოდა აგრე რიგათ, როდესაც ეს სოჯახო საქმეს შეეხებოდა. ასეთი იყო ის აგრეთვე გარედაც.

შესანიშნავი იყო საზოგადოთ იმისი სულგრძელობა.

თითქმის ყველამ იცის, რომ ერთ დროს კარგათ შეძლებული, ბოლო დროს ნივთიერად დაეცა და ამისი მიზეზი თავდებობა იყო. კ. ა—ის თავდებობაში ფ—ს დიდი ვალი გადაუხადა. ამ ვალის გადახდა დიდ ხანს სწარმოებდა. თანდათანობით ბევრი მამული, უძრავი და მოძრავი ქონება გაეყიდა, პენსია დიდი ხნით ჰქონდა დაგირავებული. ბოლოს მთელი მამული თფილისისა და ქუთაისის ბანკებში დააგირავა და როგორც იყო ფ—ის ვალი საბოლოოთ გადაიხადა. სამაგიეროთ თითონ დარჩა ნივთიერად შევიწროებული.

და აი მაშინ, როდესაც სასამართლოს უკანასკნელ ინსტანციაში ამ საშინელი ვალის გადახდა გადაუწყვიტეს და ეს ამბავი გაიგო, წარბი არ შეიხარა! იმ დროს მას სტუმრები ჰყავდა სოფელში. ცოლსა და შვილებს თავ-თავის ოთახში გული უღონდებოდათ და არ იცოდნენ სტუმრებთან როგორ შეეკავებინათ თავი და ის კი იმ დროს მაზურკას თამაშობდა!

ამ ამბავს მე თითონ არ მოვსწრებივარ, მაგრამ ეს შემთხვევა ეხლაც დიდსულოვნობის სამაგალითოთ არის დარჩენილი.

ეს კი იყო, რომ საკუთარ საქმეში ასეთი თავდაჭერილი და მომთმენი, სრულებით ასეთი არ იყო მაშინ, როდესაც საზოგადო საქმეს ვისგანმე ან რისგანმე სახიფათო რამ მოელოდა. ამგვარ შემთხვევაში ბუნება მისი თითქო მთლად იცვლებოდა. მაშინ მოკრძალებას, თითქმის შიშს ჰგვრიდა კაცს იმისი გულ-მოსულობა.

ამ გულმოსულობაშიაც კი გამოიხატებოდა იმისი მძლავრი, ამაყი და მტკიცე ხასიათი და როდესაც ამ სიმტკიცე-სიამაყეს მამული-შვილური გრძნობის დათრგუნვა დაერთოდა და შეანძრევდა, იმის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა და მისი ამ სულიერი აღშფოთების მაყურებელს მისდამი უნებური თაყვანისცემა ებადებოდა.

მინახავს მე ის ასეთ მდგომარეობაში. ეს იყო მაშინ, როდესაც იმან პავლე ეგზარხოსის მიერ საქართველოს დაწყევლა შეიტყო. ჯერ დიდ ხანს აივანზე მიდი-მოდიოდა ჩუმად. ჩვენ სულგანაბულები ვისხედით მასთან. მერე მოგვიბრუნდა და დიდ ხანს გველაპარაკა სწორედ იმ გვარად აღშფოთებული. დიდი აღელვება იხატებოდა ლაპარაკის დროს იმის ჩვეულებრივ ერთგვარად გულზე ხელის დარტყმაზე...

მეორე დღეს ის ყველასაგან გაგებული წერილი წაგვიკითხა, რომელიც ამ საქმის თაობაზე ეგზარხოსს გაუგზავნა.

იშვიათად შეხვდება კაცს მის გვარად პიროვნების პატივის-მცემელი ადამიანი. პიროვნება მისთვის უდიდესი რამ იყო. დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი, მდიდარი და ღარიბი, ჭკვიანი და სულელი,,—მისთვის უპირველესად პიროვნება იყო—ადამიანი. ყველა იმათთვის ცალ-ცალკე ჰქონდა შესაფერი საგანი მუსაიფისა, საქმის დაჭერისა, მაგრამ შეხვედრით კი ყველას ერთნაირად ზრდილობიანად, მხიარულად, გულ-გაშლით შეხვდებოდა.

მახსოვს, რა სიამოვნებით გაიხსენა და მიამბო ერთხელ ჩვენმა დაუვიწყარმა ივანე მაჩაბელმა თავისი შეხვედრა მასთან პირველად.—„ქუჩაში მივდიოდი, თერთმეტიოდე წლისა ვიქნებოდი. ვნახოთ მოდის დიმიტრი ყიფიანი. მე ვიცოდი, ვინც იყო და ამიტომ მაშინვე ქუდი მოვუხადე. მაგრამ როგორ შემრცხვა და გავწითლდი, თუმცა თან ძალიან გამეხარდა, როდესაც იმან, ჩემთვის მოულოდნელად, სიამოვნებით გამიღიმა დაიმის მაგივრად, რომ თავის დაექნია ოდნავ, როგორც ეს საზოგადოთ დიდებს სჩვევიათ ბავშვის სალამზე, მოხდილი ქუდი მუხლებამდინ დამიქნია“!

ყოველ სტუმარს, ვინც უნდა ყოფილიყო, კარებში მიეგებებოდა და წასვლის დროს იქვე კარებამდინ მიაცილებდა. სტუმრიანობის დროს ერთი საგულისხმიერო თვისება ჰქონდა: რაც უნდა დიდ-ხარისხოვანი სტუმრები ჰყოლოდა, ღარიბ, უსწავლელ მეზობლებს, ქალი იყო, თუ კაცი, იმ დროს უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა.

იმისი რწმენა და დაჯერება ადამიანისა ბავშვის გულ-უბრყვილობამდინ მიდიოდა ვფიქრობ, რომ ესეც სწორედ პიროვნების იმ დიდი პატივისცემით მოსდიოდა, ვერ წარმოედგინა, რომ საქმეში ვინმე მოატყუილებდა.

მახსოვს ერთი მაგალითი:

თბილისში იყო იმ დროს, ჩვენთან სასტუმროში ჩამომხტარი. დუშეთის მამულის მოურავად ჰყავდა ვინმე ე. კ—ლი. იმ კ—ლს ფული ჰქონდა იმასთან მოსატანი. რამდენიმე დღე გავიდა, რომ არ იქნა და ერთად ვერ შეხვდნენ ერთმანერთს: როგორც კი ის გასდგამდა გარეთ ფეხს, მოურავიც შვეიცარს შეეკითხებოდა, შინა ბრძანდება თუ არაო. რასაკვირველია, შინ არ იყო და მოურავიც დაუბარებდა, მოვედი და არ დამიხვდითო. ასე, ამგვარად რამდენსამე დღეს ატყუა და ის კი გულ-წრფელად გვეტყოდა ხოლმე: საწყალი ე—მი, ეს რამდენჯერ შესწუხდა, მოსულა ფულის მოსატანათ და მე სულ შინ არ ვუხვდებიო!

თურმე მოურავი კი განგებ სდარაჯობდა და დაინახავდა თუ არა გასულს, მაშინვე შვეიცართან მივიდოდა.

ვეცადეთ, მაგრამ ეს ხერხი მოურავისა იმას ვერაფრით ვერ დავაჯერეთ.

მაგრამ ესეც კი იყო, რომ თუ მართლა დარწმუნდებოდა ადამიანის უპიროობაში, ან თაღლითობაში, მაშინ ეს იმის რისხვასაც ძალიან დიდს გამოიწვევდა.

არ დაინდობდა არავის, არც შინაურსა, არც გარეულს, არც გულითად მეგობარს, არც კარგს ნაცნობს, ყოველივე კავშირს სპობდა მასთან და არ დაეძებდა იმას, თუ იქნებ ავნებდა მას ასეთი საქციელი.

ასეც მოუვიდა მას ერთ შემთხვევაში, სახელდობრ ფ—ის და ა—ზის საქმეში, რამაც ის ნივთიერად საბოლოვოდ დაღუპა. ფ—ის ვერ აპატივა მასზე საჩივრის შეტანა და დიდი შეურაცხყოფა მიაყენა...

ეს ამბავი თითონ იმისაგანა მაქვს გაგონილი.

ერთხელ, ლაპარაკმა რომ მოიტანა, საყვედურივით ვუთხარი:—შენ რომ ფ—ი ისე არ გაგესტუმრებინა, იქნება თავისი საჩივარი ა—ზე გადაეტანა და ამ დღეში არ ჩავვარდებოდით-მეთქი.

— ვინ იცის, იქნება ეგრეც ყოფილიყო, მაგრამ მე სხვაფრივ მოქცევა არ შემძლო,—მიპასუხა ამაზე მტკიცეთ, თუმცა თითქო ბოდიშითაც,—აბა დამიგდე ყური, რა ნაირად მომექცა... როდესაც ა—ის მაგივრად ვსთხოვე ვალის გადახდევინების მოცდა, ფ—ა თავდებობა მომთხოვა. მე ამაზე გაკვირვებული დავეკითხე, ნუ თუ მე გადამახდევინებ-მეთქი! ამის შეკითხვაზე ფ—ა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ჩუმად მითხრა:

— აბა, ისე ღმერთი როგორ გამიწყრება და ცოლ-შვილი როგორ დამეხოცება, რომ იმისი ვალი მე შენ გადაგახდევინო! მაგრამ ა—ი მოერიდება შენს შეწუხებას და ვალის გადახდისათვის თავს უფრო შეიდებსო.

— აი ეს მიპასუხა და მეც დავუჯერე... და იმან რომ პირს უმტყუვნა—მე ეს ვერ ვაპატივე. ახლა ხომ იცი, საქმე როგორც იყო და აბა ახლა განსაჯე.

ასე მიპასუხა იმანაც ჩემს საყვედურზე და სრული დარწმუნებული იყო, რომ მეც ვეთანხმებოდი. ერთით ეს ასეც იყო, მაგრამ გულში მაინც მქონდა ერთი ისეთი კუთხე, სადაც მას ვამტყუნებდი... ჩემის სისუსტით ისე ვსჯიდი, რომ ამ შემთხვევაში ისევ ტკბილი სიტყვა უნდა ეხმარა და—ასე თუ ისე, იმოდენა ვალის გადახდა თავიდან როგორმე აეცდინა.

ასე ვსჯიდი მე, ასე სჯიდა ჩემთან ერთად ბევრი სხვაც და ამტყუნებდა კიდეც, მაგრამ სხვანაირად სჯიდა თვით დიმიტრი ყიფიანი!...

აი ეს პატარა ცნობები მინდოდა მიმეწოდებინა მკითხველისთვის დიმიტრი ყიფიანის შესახებ და ბედნიერად ჩავსთვლი ჩემს თავს, თუ ნაამბობი რამდენადმე მაინც წარმოუდგენს სურათს დიდებული ადამიანის პიროვნებისას.

**ნინო ყიფიანისა.**

1911 წ. 30 მარტი.

გამოვიდა და ისყიდება წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში ე. გაბაშვილის თხზულება. წიგნი სუფთად და კარგ ქაღალდზეა დასტამბული. ხელის მომწერლებსაც დაურიგდებათ. წიგნის ფასი 1 მ.—20 კ.

# ახალი ამბები

✦ ჩვენ დანამდვილებით გადმოგვცემენ მაზ. ,,ზაკავკაზიეს'' სათავეში ამ მოკლე ხანში დასდგება გაზ. ,,კასპის'' რედაქტორად ნამყოფი ალი მარდან-ბეგ თოფჩიბაშევი, რომელსაც სურს სერიოზული დიდი ორგანო შეჰქმნას. იქნება ამნაირად როგორმე ეშველოს ამ მრავალტანჯულ ორგანოს.

✦ **საბოლოოდ გადასწყდა ეკატერინე გაბაშვილის იუბილეს გადაიხდიან 1 მაისს ქართულ თეატრში.**

✦ ამ დღეებში ჰქონდა თათბირი სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობას წინამძღოლ თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილის თავჯდომარეობით იმის შესახებ, რომ როგორმე კახეთის გზის გამყვანმა საზოგადოებამ არ დასტოვოს ქიზიყი ლიანდაგს გარეთ. მოთათბირეებს დაუდგენიათ კატეგორიულად მოეთხოვოს საზოგადოებას წერილობითი საბუთი, რომ თუ ლიანდაგს ისე არ დააგებენ, როგორც თავად-აზნაურობის გეგმაშია აღნიშნული, მაშინ უსათუოდ შტო გაიყვანონ. აი სად იჩინა თბილისის თავად-აზნაურობის წარმომადგენლების მიერ რუსეთ-აზიის ბანკთან დადებულ ხელშეკრულობის იურიდიულმა სისუსტემ.

✦ 16, 17, 18 და 19 მაისს მოხდება კავკასიის ქალაქების მოურავთა და თვითმმართველობის წარმომადგენელთა საერთო კრება, რომელიც განიხილავს იმ ზომებს, რომელიც საჭიროა მისაღებად ხოლერასთან და შავ ჭირთან ბრძოლაში.

✦ ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ დიდად პატივცემული თავმჯდომარე წ.-კ. საზოგადოებისა ბ. გიორგი ყაზბეგი უარს ამბობს მეორედ არ ვიყრი კენჭსა ამ თანამდებობაზეო.

✦ 1909 და 1910 წლების ანგარიში „ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, მოხსენებანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა უკვე დაისტამბა, მსურველთ შეუძლიათ მიიღონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში. განყოფილებებს ანგარიშები გაეგზავნებათ დღეს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცენტრალურ—პედაგოგიური მუზეუმი გაიხსნა 13 აპრილს თბილისის მეორე სავაჟო გიმნაზიის სადგომში.

✦ სოფ. აწყურთან ახალციხის გზაზე მდ. მტკვარზე აკეთებენ ხიდს. ძლივს ედირსება ამ მხარეს დიდი ხნის ნატვრის ასრულება.

✦ სამხედრო სასამართლოები დაიწყებენ მოქმედებას—ქუთაისში 18 აპრილიდან ბათუმში—5 მაისიდან.

# საამდროო საკითხი.

## წერილი მეხუთე.

ყოველ საქმისათვის, ყოველ მისწრაფების პრაქტიკულად განხორციელებისათვის თავდაპირველად შეგნებაა საჭირო და მერმე საშუალება. უკანასკნელს საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენთვის კი განსაკუთრებითი.

არასოდეს და არსად იმდენი ხმაურობა არ არის ატეხილი უსახსრობის შესახებ, როგორც ჩვენში. მართალია, მდიდარნი არა ვართ, მაგრამ არც ჩვენი მოქმედება და ყოფა-ქცევაა სასურველი.

არსად „მუქთა-ხორობას“ ისე არ გაუდგამს ფესვი საზოგადო და კერძო ცხოვრებაში, როგორც ჩვენში. მუდმივი ჩივილი, ჩივილი შეუწყვეტელი, რომ არა გვაჩნია რა; გარდა ამისა უქონლობა პირად ენერგიისა და სურვილისა, რათა თავისი საკუთარი ძალებით გამოვიდეთ გასაჭირ მდგომარეობიდან—დამახასიათებელი მოვლენაა ეგრე წოდებულ ჩვენი განათლებული საზოგადოებისა... რომელი გნებავთ მხარე ჩვენი ცხოვრებისა აიღეთ ყველგან ერთსა და იმავე სურათს დაინახავთ: ყველას და ყოველთვის ხელი გამოშვერილი აქვს, რათა მოწყალება მიიღოს მთელი ჩვენი ცხოვრება ასი წლის განმავლობაში იმგვარად მოეწყო, რომ მხოლოდ მოწყალების თხოვნა ვისწავლეთ; მთელი ჩვენი სწავლა-განათლება იმას ემსახურებოდა, რომ ყოველთვის და ყოველგან სხვისი იმედი გვქონოდა, მაგრამ თავისი კი არა. რაღაც საოცარი, გამათახსირებელი სკოლა შექმნა ჩვენმა უკუღმართმა ცხოვრებამ. მუდმივი ანგარიში, რომ მხოლოდ სხვისაგან უნდა მოველოდეთ ხსნას და არა თავის თავისაგან, მუქთახორობას ჩვენი ცხოვრების სიმბოლოდ აქცევს და გარეშე ამისა არა გვწამს რა.

ამ შემთხვევაში დიდი, ღრმა პსიქიური განსხვავებაა ჩვენი საზოგადოების და მოწინავე საზოგადოებათა შორის.

ბავშვი ვიყავი, როდესაც წავიკითხე ცნობილი რომანი გრინვუდისა „გლახაკის წერილები“ ამ რომანში ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. უმთავრესი მომქმედი პირი ათასგვარ კანონიერს და უკანონო საშუალებას ხმარობს, რათა იშოვოს სახსარი არსებობისათვის, მაგრამ რამდენადაც მახსოვს არასოდეს არ მიჰმართავს მოწყალების თხოვნას, არავის არ უშვერს ხელს სამოწყალოდ. საქართველოში დაბადებულს და რუსეთში გაზდილს ვერ გამეგო ამგვარი ფსიხოლოგია. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამგვარი ქცევა უმთავრეს მომქმედ პირისა რაღაც ახირებულებაა, ნაყოფია ავტორის ჟინიანობისა და მეტი არაფერი. დღეს კი მრწამს, რომ აქ ავტორის ჟინიან ფანტაზიას არავითარი ადგილი არა ჰქონდა. ამ რომანში გამოსახულია მთელი სისტემა აღზრდისა, განსხვავება ცხოვრებისა და ისტორიისა...

ყოველი ინგლისელი და საზოგადოდ დასავლეთ-ევროპიელი არსებობისათვის ბრძოლაში თავდაპირველად თავის შრომისა და ენერგიისაგან მოელის ხსნას. მაშინ, როცა ყოველგვარი მეცადინეობა ამაო შეიქნება, მხოლოდ მაშინ მიმართავს სხვას ან და იფიქრებს, რომ დადგა მომენტი, როდესაც სახელმწიფომ ანდა რომელიმე სხვა საზოგადო დაწესებულებამ უნდა გამოიჩინოს თავის მოვალეობა. ინგლისელმა დედის რძესთან ერთად შეისისხლ-ხორცა გრძნობა, რომ თავისი ბედილბალი, მომავალი თავის ძალ-ღონეზე უნდა დაამყაროს. ყოველი სხვა გვარი მოქმედება გამონაკლისად ითვლება და კიცხვის ღირსად ხდება ხალხის ყველა კლასების თვალში.

აი სწორედ ამით აიხსნება რომ მუქთახორობა იქ ყველასა სძულს.

Welp jourself — თავის თავს მოეხმარე, იფიქრე შენ თვითონ შენს თავზე—საზოგადოდ მიღებული წესი და ცხოვრების სიბრძნეა. ძახილს „მიშველეთ“, „მომეხმარეთ“ „შემეწიეთ“ ადგილი არა აქვს ინგლისელთა ცხოვრებაში. ხალხის გონიერების გამომხატველი ხომ იგავები და ანდაზებია. ინგლისელი, როდესაც გაჭირვებას განიცდის, აი რას ამბობს და ხშირად იმეორებს: ,,Never say dead“—„არასოდეს არა სთქვა: ,,დავიღუპე'', ,,მოვკვდიო'', ე. ი. უნდა იყვე მუდამ მამაცი, მედგრად და ენერგიულად უნდა იცავდე თავის უფლებას და ყოველივე ძალ-ღონით ებრძოლე გაჭირებას.

ჩვენი საზოგადოება სულ სხვა მდგომარეობაშია. პირველადვე ჩვენ ყოველთვის ჩვენს სისუსტეს, უღონობას წამოვაყენებთ ხოლმე, აღვნიშნავთ გაჭირებასთან ბრძოლის უმნიშვნელობას. ჩვენ მზადა ვართ ვთყვიროთ, ,,დავიღუპენით'', ,,დაგვექცა სალ-კარი, მამული და სხვა''...

ქართველის და ევროპიულის აზროვნება და მოქმედება საკმაოდ განირჩევა ერთი ერთმანეთისაგან. მაშინ, როდესაც ევროპიელი მხოლოდ თავის თავს მიენდობა და მზად არის უკანასკნელ წუთამდის გაჭირვებას ებრძოლოს, ქართველი ვითომდა ფატალისტად გამხდარა, თუმცა ცოტაოდნად თავს იმაგრებს, გულს არ იტეხს; მაგრამ არსებითად ის მზად არის წინდაწინვე დაემორჩილოს ყოველგვარ გასაჭირს და იმის მაგიერ რომ თავის თავზე იზრუნოს, სასწაულს მოელის, უცდის სხვისაგან დახმარებას, არ შედის იმის განკითხვაში, თუ საიდგან და ვისგან მოდის ეს დახმარება; ყოველ შემთხვევაში ინგლისელთან შედარებით ქართველი ყოველთვის იმასა ფიქრობს, რომ დახმარება მუქთია და არასოდეს არ დასჭირდება ამ დახმარების გადახდა. პრინციპი ,,მუქთარობის'' შეადგენს დამახასიათებელ თვისებას ჩვენის ცხოვრებისას და მასთან ერთად ეს პრინციპი განსაზღვრავს ჩვენსა და დასავლეთ ევროპის ცხოვრებას. რასაკვირველია დასავლეთ ევროპაშიც ბევრია მუქთახორობის მომხრე და მიმდევარი, მაგრამ იქ ამგვარ საშუალებით შეძენილ სახსარს ჰკიცხავენ და აძაგებენ, წინ წამოყენებულია შრომის პრინციპი, რაც მთელს დასავლეთ ევროპის ცხოვრებას სულ სხვა ელფერს ჰფენს და რაც სხვა მიმდინარეობას აძლევს. ჩვენ არა გვაქვს დრო და საშუალება გავარჩიოთ ზედ-მეტად რთული მიზეზი მუქთახორობის გაჩენისა ჩვენს ცხოვრებაში. [illegible] მხოლოდ ერთ გარემოებას. მე-XVIII საუკუნის ბოლომდე ქართველი ერის ისტორიული ცხოვრება იმგვარი იყო, რომ თავის თავის იმედი ჰქონდა და მხოლოდ თავის ძალაზე ამყარებდა თავის აწმყოსა და მომავალს. მე-XIX საუკუნის დასაწყისს მდგომარეობა შეიცვალა. მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ხანა რუსეთის სახელმწიფოსა და კულტურის ზეგავლენისა. ამ გავლენის ერთი ცუდი მხარე იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი საზოგადოება თვით-მოქმედების გზას მოაშორა და მოწყალების თხოვნას მიაჩვია.

ამ შემთხვევაში თვით რუსის ფსიხოლოგია საინტერესოა. არც ევროპაში და არც ამერიკაში, როგორც აღნიშნავენ რუსის ეკონომისტები და ისტორიკოსები, ისე მიჩნეული არ არის მუქთახორობა, როგორც რუსეთში.

„მეოთხმოცე წლებში,—ამბობს პროფესორი იანჟული,—სახელმწიფო მიწათა სამინისტრომ გამოსცა ერთი წიგნი, რომელიც თავის დროს საზოგადოების მიერ შეუმჩნეველი დარჩა, თუმცა ღირსი იყო სერიოზული ყურადღებისა. ამ წიგნში მოთავსებული იყო მასალა სამინისტროს მიერ შეგროვილი მაშინდელ და გლეხთა განთავისუფლების დროინდელ მებაღეობის შესახებ. სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს ის შედეგები, რომელნიც ამ გამოკვლევამ აღმოაჩინა. მთელს რუსეთში მებაღეობა დაეცა. სხვა მიზეზთა შორის უპირველესი ადგილი კორესპოდენტთა აზრით უკავია თითქმის ყოველგან ქურდობას და მტაცებლობას. რუსეთის ზოგიერთ ადგილებში მტაცებლობას ეტანება მოზდილთა მთელი ბრბოები და ამ მტაცებლობის მოსასპობად იძულებული არიან მიჰმართონ იარაღს. დაუმწიფარს ხილს იპარავენ, ხეებს აფუჭებენ, შტოებს ამტვრევენ.“ პროფ. გერიეც ასახელებს რამოდენიმე საინტერესო ფაქტს.

„ანგარიში მეორე სუჩევის დამხმარებელი საზოგადოებისა (მოსკოვს),—პროფ. გერიეს სიტყვით,—შეიცავს სამ საგულისხმო ფაქტს. ამ საზოგადოებას მიჰმართა 28 წლის ქალმა, რომლის ქმარს წლიური შემოსავალი 2400 მანეთი ჰქონდა, იმ მოსაზრებით მხოლოდ, რომ საზოგადოებიდან ადვილი იყო შემწეობის მიღება. ოცდა ათი წლის კაცმა, რომელსაც თავისი ქარხანა ჰქონდა და ამ ქარხანის დამაქირავებლად 500 მანეთამდე იხდიდა, სიჰმართა საზოგადოებას თხოვნით დახმარება აღმოეჩინა დედის შესანახად, დედა კი მის ბავშვებს უვლიდა და მის ოჯახს თვალყურს ადევნებდა.“

,,ოცდა თერთმეტი წლის კაცმა და მისმა მეუღლემ 30 წლის ქალმა, საკუთარ ფეხსაცმელ მაღაზიის პატრონებმა შემწეობა ითხოვეს მხოლოდ მისთვის, რომ ამდენხანს არ იცოდენ რომ, შესაძლებელი იყო მოწყალების თხოვნა.''

,,მოსკოვი სავსეა—ამბობს პროფესორი იანჟული,—პროფესიონალური გლახაკებით, რომელთაც მუშაობა შეუძლიათ.“

ბბ. გილიაროვსკი, რომელმაც ეს საკითხი შეისწავლა, გამოიანგარიშა, რომ გლახაკთა რიცხვი 50 ათასს აღემატება. მოსკოვის გუბერნიაში არის სოფლები, რომელთა ხელობა მათხოვრობაა; ამგვარია ვერეისკის მაზრაში შუვალოვკა; შუვალოვკელი ქალიშვილი არ გაჰყვება ცოლად ახალგაზდას, თუ უკანასკნელმა ზედმიწევნით არ იცის მათხოვრობის ხელობა...

რუსეთის ვაჭრები,—ამბობს იგივე იანჟული—მთელ თავის იმედებს დამცავის ტარიფებზე ამყარებენ, ე. ი. საზღვარგარეთელ კონკურენციის მოსპობაზე და სრულიად არ იჩენენ უნარს მოქმედებისას, ტეხნიკურად ხელოვნების გაუმჯობესებისას...

რაც შეეხება თავად-აზნაურობას, ეს ხომ სავსებით მმართველობის იმედით სცოცხლობს, მათ უდგია სული და მხოლოდ სხვა და სხვა პრივილეგიები ასულდგმულებს მოწინავე წოდებას. პროფესორ იანჟულის აზრით მუქთახორობა მოწინავე წოდებას ძლიერ უყვარს.

საკმარისი ფაქტები აღვნიშნეთ. ეს ფაქტებიც სავსებით ამტკიცებენ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს რუსეთში მუქთახორობას, რომელიც ეროვნულ ნაკლულევანებად გამხდარა. ეჭვს გარეშეა რუსეთში, მუქთახორობის გავრცელებაში მმართველობასაც დიდი ბრალი აქვს. პოლიტიკური სკოლა და ეკონომიური ცხოვრება რუსეთში იმგვარად იყო მოწყობილი, რომ ხალხს თვით მოქმედების უნარს უსპობდა და ძალაუნებურად ასწავლიდა ხალხს ხსნა მხოლოდ მმართველობისაგან არის მოსალოდნელიო.

ამგვარივე აღზრდა მიიღო ამ ასის წლის განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებამაც. დღეს ყველასათვის ცხადია ამ აღზრდის უვარგისობაც და მავნებლობაც. ორივე მხარე—მოწყალების მიმღებიც და მოწყალების გამცემიც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ. პირველი ეჩვევა მუქთახორობას, ვინაიდგან მოწყალება, რაც სახელი უნდა დავარქვათ მას, ამცირებს ადამიანს, აჩვევს მას გაჭირებაში და სიღარიბის დროს შემთხვევითი დახმარების ლოდინს, არ უვითარებს გრძნობას თავისი ძალით და შრომით თავი დაახწიოს გაჭირებას.

მეორე (მოწყალების გამცემი) გასცემს რა რამოდენიმე თანხას, დაურიგებს რამდენიმე „გროშს“, ამით ასრულებს ვითომც თავის მოვალეობას სინიდისის და საზოგადოების წინაშე. მას შეუძლია ტკბილად დაიძინოს და არ დაფიქრდეს საზოგადოებრივ მოვალეობაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ აქტიური დახმა-

---

ქმარს სძინავს. ქალი და ვაჟი აივანზე სხედან და მუსაიფობენ.

— მოგწონს ეგ ხე?

ძლიერ.

ამიწერე...

უყურებ და რაღა ჩემი აწერილობა გინდა?!

გთხოვ...

შენ თვითონ აწერე, ჩემზე უკეთ მაინც მოახერხებ.

არა მაინც გთხოვ... და თუ არ ამიწერე ეხლავ, სამუდამოთ დაგშორდები...

ყმაწვილი წამოდგა. ქალმა შიშით შეხედა და დაიწყო: ხეს ღრმად აქვს ფესვები მიწაში გადგმული და ხარბათ იკვებება ტანი. ხე სწორია, მსხვილი და ღონიერი. ტოტები ყოველის მხრით თანაბრათ გადაუშვია. ყლორტებით სავსე შტოები ფოთლებით არის დაფარული. მწვანე, ცოცხალი ფოთლები უხვად ჰკრებს მზის სხივებს. ნამდვილი სიცოცხლის ემბლემა არის.

აწერილობა პოეტური თუ არ არის, ნამდვილთან მაინც სწორია. მაგრამ იქ წვერზე ჰხედავ?

რას?

პატარა შტოს დამჭკნარი, ყვითელი ფოთლებით?..

ვხედავ და ქვევით ძირში, სუროს წვრილს ღეროს, სასიკვდილ-სიცოცხლოდ რომ მისწებებია?

ვხედავ.

მთელი ეს ხე ჩვენი ემბლემაა...

ქალი გაჩუმებულიყო და ერთს წერტილს ჩასცქეროდა.

ვაჟი: ჰაერში, ოცნებაში მერცხალივით მხიარული, ცოცხალი, მიწაზე კი მწყერივით მოწყენილი, მწუხარე. მაგრამ მოიშორე ეს გამხმარი, გაყვითლებული პატარა შტო, იგი შენი მეუღლის ემბლემაა, თორემ იმ სუროს ღერო მისკენ მიისწრაფვის და თავის გზაზე გამოსწუწნის ყოველს სიცოცხლეს მთელს ხეს. სუროს არაფერი არ აქვს, არ ჰყავს, გარდა ამ ხისა; ნამეტარის სიყვარულით გაახმობს, დაადნობს მიჯნურს. ეხლა იგი გარბის ზევით, რომ როგორმე ხეს მოაშოროს უსარგებლო პატარა შტო. შენც, შენც გესმის მთელი ტანჯვა ჩემი, და ჩემი მუდარა. მოიშორე ეს ადამიანი ხელს რომ გიშლის ბედნიერებაში. მაშინ მე დავკმაყოფილდები, დავმშვიდდები. არც დაგტანჯავ, რადგან არც მე ვიქნები ტანჯული.

არ შემიძლია.

რამდენს ხანს უნდა გაგრძელდეს ეს აუტანელი მდგომარეობა? სადაა ბოლო? ზღვა შრება და მთა ირღვევა. ჩვენ კი არაფერი გვეშველა!

—

ოთხი წლის შემდეგ ამავე ეზოში ჩამოდიოდა სამი ეჟვნებიანი ცხენით შებმული ეტლი. ქალი თითქმის იწვა ეტლში. ვაჟს ქოლგა ეჭირა ხელში და ქალს მზისაგან იცავდა. ყმაწვილს უეცრად ფერი დაეკარგა და ადგილზე ისე შეტრიალდა რომ ერთი მხარე ქალის მხედველობისათვის სრულიად დაფარა—ეტყობოდა რაღასაც უმალავდა ქალს:

— რა დაგემართა? მზრუნველობით დაეკითხა ქალი იმ განსაკუთრებულის ნაზის ხმით, რომლითაც ლაპარაკობენ ძლიერ დასუსტებული, მოსიყვარულე, მრავალის ტანჯვის გადამტანი ქალები.

არაფერი! არაფერი!

როგორ არაფერი, კაცის ფერი აღარა გაქვს. ქალი წამოჯდა და გაფაციცებით დაიწყო აქეთ-იქეთ თვალიერება ადგილის.

ამასობაში ეტლი სახლის კიბესთან გაჩერდა. ქალი ბავშვივით აიყვანა ვაჟმა; აავიდა კიბეზე; სურდა პირდაპირ ოთახში შეეყვანა; ამ დროს ქალმა მწუხარებით მილეულის ხმით სთქვა: ეხლა კი ვიცი, რაზედაც გაფითრდი... ნუღა მარიდებ... განა ჩემი ამბავი არ ვიცი. და ისედაც გაცრეცილ სახეს მკვდრის ფერი დაედო. ყმაწვილმა ქალი ოთახში შეიყვანა და გამზადებულ ლოგინზე მიაწვინა.

მერმე აივანზე გამოვიდა და გულ-მოსული მიმართა მოურავს:

დიდი ამბავი იყო ეს წამოქცეული ხე მოგეჭრა და გადაგეგდო?

რომ მიბრძანებდით, დამიბარეთ ხელი არ შემეხო ამ ხისთვის თქვენს დაბრუნებამდის, რაც უნდა დამართოდა...

ყმაწვილი ცოტა ჩაფიქრდა.

შეიძლება კიდევ მოეხერხება რამე ხეს?.. მთლად გამხმარი არ უნდა იყოს...

არ ვიცი... ძნელი კი უნდა იყოს. ფესვები სრულიად დამტვრეული და დამპალი აქვს.

ოთახიდან მოისმა ქალის ძახილი. ხმაზე ყმაწვილი ჩქარის ნაბიჯით იქითკენ წავიდა.

მაჩვენე ჩვენი ემბლემა...

რათ გინდა? პატარა მოიცა. ქარს წაუქცევია... მაგრამ წამოყენება შეიძლება. მერმე გაჩვენებ... ეხლა დაისვენე.

მაჩვენე, ეხლავე მაჩვენე.

ქალმა ყელზე ხელი მოხვია ყმაწვილს. ყმაწვილმაც ველარ უთხრა უარი და აიყვანა.

როცა მივიდენ ხესთან, ქალმა ერთი კი დაიძახა: „სურო, სუროც გადატეხილია!“ და გულს წაუვიდა.

„წყალი! ოდეკოლონი“! იძახოდა დაბნეული ყმაწვილი. მოსამსახურეები დარბოდენ. ქალი გონს არ მოდიოდა...

ყმაწვილი მივარდა მოურავს: ეხლავ ქალაქში წადი, მოიყვანე ექიმი. შეიარე მებაღე ფრანგთან... ხომ გახსოვს შარშან თაიგულები დაგვქონდა იქიდან... ჩემ მაგიერ სთხოვე, უსათუოდ ეხლავ მოვიდეს, ძლიერ საჭირო საქმე აქვს-თქო.

ორივეს უნდა უექიმოთ! რაც უნდა მოხდეს, როგორც უნდა იქმნეს, უნდა გადარჩეს ორივე... თორემ... თორემ რას ემგვანება ასეთი სიცოცხლე... რა უსამართლობაა!..

გაყვითლებული გამხმარი, ყვითელი პატარა შტო, მოწყენილი მწვანე ფოთლებთა შორის სრულიად უცვლელად იყო; ყმაწვილმა სტაცა ხელი და მოსტეხა.

როდის წაიქცა, ბიჭო, ეს ხე? დაეკითხა ყმაწვილი იქვე მდგომ მსახურს.

გუშინ-წინ, ბატონო.

რა დროს?

შუა-დღეზე, ბატონო!

უცნაურია, სწორედ იმ დღეს და იმ დროს, როცა უზრდელად სახლიდან გამოაგდო იმ...

ქალი კიდევ გონს ვერ მოსულიყო... ბოლოს, როგორც იქნა...

ქალი: ეხლა დასამალავი აღარაფერია—ყოველივე თავდება: მიყვარდით გაგიჟებით; ხორცი, ნეტარება შევსწირე თქვენს სიყვარულს. ვიცოდი ნამდვილი, რომ, როგორც თქვენი შევიქნებოდი, თქვენი გრძნობაც შეიცვლებოდა. თქვენი სიყვარული კი ისე ლამაზი იყო. თქვენზე მეტად თქვენი სიყვარული მიყვარდა. ეხლა, ეხლა თქვენი ვარ სამარადისოთ...

ვაჟი: მოირა, მოირა!

**ნ. ლორთქიფანიძე.**

რება უფრო საძნელო და არა სასიამოვნოა, ვიდრე პასიური დარიგება „გროშებისა“. აი ამიტომ მოწყალების შედეგია ხშირად დიდი პირადი, კერძო და აგრეთვე საზოგადოებრივი ვნება, სარგებლობა კი ძლიერ საეჭვოა. მხოლოდ ამისათვის ჩამოვაგდეთ ლაპარაკი მუქთახორობაზე. ვეცდებით განვმარტოთ, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს მოწყალებას. შესაძლებელია ამ გზამ მოგვცეს ცოტაოდენი საშუალება ჩვენი სწავლა-განათლების საქმის წესიერად მოსაწყობად.

რასაკვირელია, ჩვენს სიმდიდრეს ვერ შევადარებთ მოწინავე ერთა სიმდიდრეს მიუხედავად ამისა თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უფრო მდიდარი ვართ ეხლა, ვიდრე ასის წლის წინად ვიყავით საერთოდ სიმდიდრე ქვეყნიერობაზე თანასწორად და თანაბრად არ არის განაწილებული როგორც ერთა შორის, აგრეთვე კერძო პირთა შორის. ამ განაწილებაში, მართალია, ქართველს ერს არ უკავია საპატიო ადგილი, მაგრამ არც უკანასკნელი უჭირავს. საუბედუროდ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და მასთან ერთად ჩვენი მატერიალური სიმდიდრე არ არის გამოკვლეული და ჩვენ ხელში არა გვაქვს საამისო სტატისტიკური ცნობები. ეჭვს გარეშეა მხოლოდ რომ ქართველი საზოგადოება უკვე დაადგა მატერიალურ წარმატების გზას. ჩვენმა საზოგადოებამ შეიგნო მნიშვნელობა სიმდიდრე—ქონებისა. დღეს მილიონერიცა გვყავს და ღატაკიც. როგორც ეს ყველგან არის სიმდიდრე გროვდება უმცირესობის ხელში და უმრავლესობა ძლივს პოულობს ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებას.

ახლა საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რა ხასიათი უნდა მივსცეთ ფილანთროპიას ჩვენში, რათა მუქთახტრობა მოვსპოთ და მით ცოტაოდნად ხელი შევუწყოთ ჩვენი საზოგადოების წინსვლას.

ამისათვის კარგი იქნება გავეცნოთ მილიონერ კერნეჯის აზრს. შესაძლებელია, ვისარგებლოთ მოწინავე ერთა მაგალითებით და ამ მაგალითს შევუფეროთ ჩვენი ცხოვრება.

კერნეჯი ამერიკელი მილიონერია. მან გამოსცა წიგნი (Wealth and the lest fields for Philanthropy, by Andrew Carnegie the American Millionnaire).—სიმდიდრე და საუკეთესო ასპარეზი ფილანტროპიისათვის.

ავტორის პიროვნება მეტად საინტერესოა. კერნეჯი იმ პიროვნებათაგანია, რომელსაც ამერიკელები „self-made man“-ს ეძახიან ე. ი. ის ადამიანია, რომელმაც თავისი თავი თვითონ შექმნა, თვითონ წამოდგა ფეხზე და საპატიო ადგილი დაიკავა საზოგადოებაში.

კერნეჯი დაიბადა ინგლისში, დენფორლაინში და მერე გადმოსახლდა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ღარიბი ბავშვი იყო, როცა სამუშაო იშოვა ერთ რკინის მკეთებელ ქარხანაში დროგამოშვებით სწავლობდა და ამნაირად იძენდა საჭირო განათლებას. ამ ენერგიის და მუყაითობის წყალობით მისი ქონება-სიმდიდრე თანდათან გაიზარდა და იგი გახდა პატრონი რამდენიმე რკინის მკეთებელ ქარხნისა პენსილვანიაში ახლა კარნეჯი იმ სამოცდა ათ მილიონერთა რიცხვში ითვლება, რომელთა ხელშია, შერმანის გამოკვლევით, დღეს სიმდიდრე ამერიკისა. როგორც პოლიტიკური მოღვაწე კერნეჯი კონსერვატორია, პროტექციონიზმის ამერიკაში არსებულ ეკონომიურ სისტემის მომხრე და მაკკინლეის პოლიტიკის მიმდევარი.

მიუხედავად ამისა ის წინააღმდეგია იმ შოვინისტურ მიმართულებისა, რომელმაც ფეხი მოიდგა შეერთებულ შტატებში ესპანელებზე გამარჯვების შემდეგ. იგი ერთი დამაარსებელთაგანი და წევრია ლიგისა, რომელსაც მიზნად აქვს ეწინააღმდეგოს ამერიკელთა „იმპერიალიზმს“.

თავის წიგნში კერნეჯი თავდაპირველად ეხება იმ ცვლილებას, რომელიც ამ უკანასკნელ რამოდენიმე ასის წლის განმავლობაში კაცობრიობის ცხოვრებაში მოხდა. კერნეჯი აღნიშნავს, რომ წინად თუმცა არ ყოფილა საოცარი ვეებერთელა სიმდიდრე, მაგრამ არ ყოფილა არც დღევანდელისთანა საოცარი, უკიდურესი სიღარიბე-სიღატაკე. ვიგვამი, ანუ ინდოელი უფროსის ქოხი, რომელიც კერნეჯს უნახავს, არაფრით არ განირჩევა უღარიბეს ინდოელის ქოხისაგან. თანამედროვე წეს-წყობილებაში კი სულ სხვა საშინელ სურათს ვხედავთ. ღარიბებსა და მდიდართა შორის მთელი უფსკრული ძევს. იმოდენად დიდია ქონება ზოგიერთ ბედნიერთა, რომ მათ არ იციან, როგორ და რაზე დახარჯონ თვისი სიმდიდრე. ხალხის მასსა კი ღარიბია. ხშირად ეს სიღარიბე სიღატაკეს უდრის.

უმთავრესი მიზეზი ამ საოცარ ცვლილებისა, ავტორის აზრით, ის არის, რომ ღირებულება სუყველა ნაყოფისა და წარმოების საშუალება საოცრად შეიცვალა. წინეთ გამეფებული იყო შინა-მრეწველობის და უბრალო ხელოსნობის შრომის სისტემა, რადგანაც მაშინ ფრიად განუვითარებელი ხელში დასაჭერი იარალები არსებობდა. ეს შრომის სისტემა ძვირს და ტლანქ ნაწარმოებს იძლეოდა ეხლა კი გამეფებულია მსხვილი სამანქანო წარმოება, რომელიც მსოფლიო ბაზრისთვის ამზადებს საქონელს. მან რთული მოხერხებული მექანიზმის საშუალებით შრომის უკიდურესი განაწილებით და შეერთებით ნაწარმოებას გასაოცარ ღირსებას და სიიაფეს მიაღწია. ღარიბ კლასთა ცხოვრება შეიცვალა. უბრალო მუშა დღეს უფრო კარგად ცხოვრობს, ვიდრე წინეთ მემამულე; უკანასკნელი კი—უფრო კარგად, ვიდრე ოდესმე უმდიდრესი ადამიანი...

მიუხედავად იმ ღვაწლისა, რომელიც თანამედროვე წეს-წყობილებას მიუძღვის მეცნიერებისა და ხელოვნების წინაშე, ვინაიდგან მათი განვითარება შეუძლებელი იყო სიმდიდრის შეგროვების გარეშე, ამ წეს-წყობილებამ კაცობრიობას დიდი ვნება მოუტანა. კაცობრიობას იაფად არ დასჯდომია ეს სიმდიდრე. ცხოვრებაში გამეფდა თავისუფალი კონკურენცია თავისი უკიდურესი შედეგებით, რაც სპობს და ანადგურებს ყველა სუსტს, რომელიც მას წინ ელობება და თავისუფალ გამარჯვებულ მოძრაობას ხელს უშლის. კონკურენციამ შებრალება არ იცის, მთელი ხალხი გაყოფილია ორ ბანაკად; მათ კერნეჯი კასტებს უწოდებს; ერთ მხარეზეა მდიდარნი, მე-ორეზე კი ღარიბნი. მათ შორის მუდმივი, შეუწყვეტელი ბრძოლაა. საზოგადო ინტერესი კი,—ამბობს კერნეჯი,—მოითხოვს, რომ სიმდიდრე, რაც კაცობრიობას შრომამ არგუნა და მოუტანა, საუკეთესოდ მოხმარებული იქმნეს და აერთებდეს კაცობრიობას ძმობის ძაფით და არ უნდა ჰყოფდეს კაცობრიობას ორ მტრად გადაქცეულ ბანაკად. რა უნდა ვიღონოთ, რას უნდა ვემსახუროთ ამისათვის,—კითხულობს კერნეჯი. მისი აზრით პასუხი დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ როგორ მოიხმარებენ ის პირნი, ვისაც სიმდიდრე შეუძენიათ, თავის ქონებას. თანამედროვე ხანაში,—განაგრძობს კერნეჯი, სამი საშუალებაა მდიდართა ხელში შეგროვილ სიმდიდრის მოხმარებისათვის.

პირველი: შეძენილ სიმდიდრეს უტოვებენ თავიანთ მემკვიდრეებს.

მეორე: სიკვდილის შემდეგ ანდერძით სტოვებენ საერთო, საზოგადო სასარგებლო მიზნით.

მესამე: თავის სიცოცხლეშივე საზოგადო საჭიროებას ახმარებენ თავიანთ სიმდიდრეს.

კერნეჯი არჩევს სამივე საშუალებას საოცარი სიმარტივით ურკვევს მკითხველს ამა თუ იმ საშუალების სუსტ მხარეს და გამოსთქვამს მრავალს მაღალ და ღრმა აზრს.

დავიწყოთ პირველ საშუალებიდან.

სიმდიდრის მემკვიდრეებისათვის დატოვება კერნეჯის აზრით უვარგისი საშუალებათაგანია ქონების განაწილების საქმეში. იგი ამბობს, რომ ინგლისში მიღებულ უფროსშვილობის უფლებას „სრულიადაც არ შეუძლია შეაჩეროს მიწის სხვა ხელში გადასვლა; ამ უფლებას ინგლისელი არისტოკრატია გადაგვარების გზისაკენ მიჰყავსო“. კერნეჯის აზრით, როგორც სახელმწიფოსთვის, აგრეთვე კერძო პირთათვის ერთგვარად მავნე შედეგი მოჰყვება ხოლმე, როცა სიმდიდრე გადადის იმ მემკვიდრეთა ხელში, რომელთაც არა გაუკეთებიათ რა და არ უზრუნვიათ შეძენაზე.

„თუ უდიდესი სიღარიბე ადამიანის ზნეობას აფუჭებს, არა ნაკლებ, იქნება უფრო ხშირადაც თვით სიმდიდრე, თუ ის შრომით და მუყაითობით არ არის შეძენილი, საბოლოოდ ჰრყვნის ადამიანს“. —ამბობს მილიარდერი.

კერნეჯი ბოლოს დაასკვნის, რომ გონიერმა მდიდარმა მშობლებმა თავიანთ მემკვიდრეებს ზომიერი წილი უნდა დაუტოვონ, რომ შესძლონ გაუჭირვებლად ცხოვრება, დანარჩენი ქონება კი სხვარიგად გაანაწილონ.

მეორე საშუალება—დატოვება სიმდიდრისა სიკვდილის შემდეგ კეთილ საქმეებისათვის—არა ნაკლებ არის კრიტიკის ღირსი. ამ საშუალებას ძალიან ნაკლები ზნეობრივი ფასი აქვს, ვინაიდან სიმდიდრე გადადის საზოგადო ინტერესის დასაკმაყოფილებლათ მაშინ, როცა თვით: მდიდარს მოხმარება არას გზით არ შეუძლია. ამ შემთხვევაში მდიდარი ამბობს—წაიღე, რადგანაც ჩემთვის არ ვარგაო. გარდაცვალებულს იმდენათვე შეუძლია სიმდიდრის მოხმარება, რამდენათაც ნიუიორკის ქუჩებში სეირნობა“.

მეორე უვარგისი მხარე ამ საშუალების ის არის, რომ სიმდიდრის დამტოვებელს არ შეუძლია თვალ-ყური ადევნოს თავის აზრის და სურვილის შესრულებას.

შესაძლებელია—დასძენს კერნეჯი,—რომ შთამომავლობამ დააფასოს ეს მსხვერპლი, ვინაიდან არავითარი მსხვერპლი არ მოუტანიათ საზოგადოების ინტერესებისათვის სიმდიდრის ამგვარ მომხმარებელთ“. იგი ამართლებს იმიტომ სახელმწიფოების მიერ დაწესებულს დიდ გარდასახადს მემკვიდრეობაზე.

მესამე საშუალება—სიმდიდრის საზოგადოთ კეთილ მიზნით მოხმარება პატრონის სიცოცხლის დროსვე—ერთად-ერთი სამართლიანი საშუალებაა. ეს საშუალება წარმოადგენს საუკეთესო წამალს არსებულ სიმდიდრის უთანასწორო განაწილების შესამსუბუქებლად. ეს საშუალება—ფიქრობს მილიონერი—მშვიდობიანობას ჩამოაგდებს მდიდართა და ღარიბთა შორის. მაშინ სიმდიდრე, რომელიც უმცირესობის ხელშია, საზოგადოებას ვნებას არ მოუტანს, პირიქით, სამსახურს გაუწევს, ღარიბიც დაინახავს, თუ ამ სიმდიდრეს რა დიადი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს კაცობრიობას. მდიდრები თავიანთ სიმდიდრეს უნდა უყურებდენ, როგორც ფონდს, რომელიც ბედმა დროებით ჩააბარა საზრუნავად და რომელიც უნდა მოახმარონ ხალხს.

მისი აზრით, „მდიდარმა ღარიბ მოძმეებს სამსახური უნდა გაუწიოს და შესწიროს მათ თავისი გამჭრიახობა, გამოცდილება, ადმინისტრატიული ნიჭი და ეს სამსახური უფრო კარგად უნდა შეასრულოს, ვიდრე ამას თვით ღარიბნი შესძლებდენ“.

ამნაირად სიმდიდრე უნდა დაუბრუნდეს ხალხს, რომელსაც ეკუთვნის.

შემდეგ წერილში უმთავრეს საკითხზე გვექნება ბაასი, თუ როგორ და რაზე უნდა დაიხარჯოს შეგროვილი სიმდიდრე?

მ. ა.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

განცხადება

რ ჩ ე უ ლ ი
პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები

**იაკობ გოგებაშვილისა.** ტომი პირველი. წიგნი დიდი ტანისაა, იპყრობს 560 გვერდს წინასიტყვაობით შეიცავს ის სტატიას საჟურნალოს და საგაზეთოს ღირს **ერთ მანეთად**. ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში და ყველა პროვინციალურს განყოფილებაში „წერა-კითხვის საზოგადოებისა.“

აპრილის 18, 19, 20, 21, 22 და 23-ის თომას კვირის განმავლობაში

1) უმთავრესში—სოლოლაკის ქ., სახლი გურგენოვისა, ტელ. № 583.

პ. ს. დოროჟნოვის
მ ა ღ ა ზ ი ე ბ შ ი

2) იაროსლავისაში—მიხეილის პროსპ. ლოტრანგების ეკლესიის გვერდით, ტელ. № 838.

ყოველწლიური მიღებული წესის თანახმად თომას მთელი კვირის განმავლობაში ✖ უდიდესი იაფი ვაჭრობა ✖ მხოლოდ 6 დღის განმავლობაში, ე. ი.

18, 19, 20 21 22 და 23 აპრილს.

ამ დღეებში ყველა სპეციალურ განყოფილებაში საზაფხულო საქონელი, დარჩენილი წინანდელ სეზონებისაგან, გაიყიდება

საოცარ იაფ ფასებში

**საზაფხულო ფერადიანი ქსოვილების განყოფილებაში უდიდესი პარტია დარჩენილი ნაჭრებისა და კუპონებისა:** სატინი, ბატისტი, კისეა, ტილო, ზარუსინა, მოდის სხვა-და-სხვა ფერადის ქსოვილები, სარატოვის სარპინკა, ზეფირი, ფულიარი მუსლინი და სხვ. ყველა ეს გაიყიდება

განსაკუთრებით იაფად

**მაუდის განყოფილებაში:** ტრიკო კუპონებით და ნაჭრებით ტანისამოსისა პალტოსა და შარვლებისათვის. მაუდის ნაჭრები ბლომად არის; „როგოჟკები“ და სხვ. აგრეთვე კიტელის ქსოვილები. ყველა ეს გაიყიდება **განსაკუთრებით იაფად.** ✖ აბრეშუმის და შალის განყოფილებაში: დიდძალი რიცხვი ნაჭრებისა და კუპონებისა: აბრეშუმი, შალი, აბრეშუმის ფულიარი, დამზადებული საზაფხულო კაბები ტილოსი და ბატისტისა. ყველა ეს გაიყიდება **განსაკუთრებით იაფად.** ✖ **ტილოს განყოფილებაში:** დიდძალი პარტია საზაფხულო საბნებისა, საბანაო ზეწრების და პირსახოცებისა. ბევრი ნაჭერი ტილოსი და სპეციალურ ქსოვილებისა საცვლებისათვის, ეს გაიყიდება **განსაკუთრებით იაფად.** ✖ **დამზადებულ საცვლების განყოფილებაში:** „ბლუზკები“, ზევითი და ქვევითი იუბკები. კოფტები, ქიმონო, მატინე, მამაკაცთა და დედაკაცთა საზაფხულო საცვალი, საბავშო ტანისამოსი, და სხვ. დარჩენილი წარსულ სეზონისაგან. გაიყიდება **განსაკუთრებით იაფად.** ✖ **ტრიკოტაჟის განყოფილებაში:** ჩულქები მამაკაცებისა და დედაკაცებისა, აგრეთვე წინდები, ბავშვებისათვის „ფანტეზი“ და სხვ. ფერადიანი ტრიკოტაჟის საცვალი და სხვ. გაიყიდება **განსაკუთრებით იაფად.** ✖ დიდძალი პარტია ქოლგებისა **10.000 ცალი** დედაკაცთა და მამაკაცთათვის, აგრეთვე ბავშვებისათვის. სულ უკანასკნელი ახალ-ახალი სავაჭროა. რადგანაც სეზონი ძალიან გვიან დაიწყო, ამიტომ ახლავე ყველა ეს ქოლგები გაიყიდება **განსაკუთრებით იაფად.** ✖ დიდ ფანჯრებში თომას კვირის განმავლობაში გამოიკიდება ყველა სავაჭრო და ზედ აღნიშნული იქნება **განსაკუთრებითი იაფი ფასები.**

პ. ს. დოროჟნოვი.

თომას კვირის განმავლობაში 18, 19, 20, 21, 22 და 23 აპრილს უდიდესი იაფი ვაჭრობა.

ამხ. მ. ლაღიძის და კომპ.
ხელოვნურ მინერალურ, ხილისა და სამკურნალო წყლების ქარხანა.
თფილისი, გოლოვინის პროსპ. 6. ტელეფონი № 441.
ეს წყლები კეთდება განსაკუთრებით ბუნებრივ, ქიმიურად გაწმენდილ და არჩეულ. ხილის წვენიდან და თვით წყალისრულიად განწმენდილი და გამოხდილია.
წყალი კეთდება მანქანა ვაკუმით სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.
მომხმარებელთ შეუძლიანთ დარწმუნდნენ, რომ ჩვენი წყლები მშვენიერი გემოსია და კეთილი სუნნელებისაა.
თფილისის გუბერნიის გამგეობის საექიმო განყოფილების შემოწმებით დამტკიცებულია, რომ ჩვენი ფირმის წყლები არის
ყოვლად კეთილი თვისებისა
ვაფრთხილებთ მკითხველებს, რომ ზოგიერთი ვაჭრები სხვა ქარხნების იაფ წყლებს ჩვენს წყლებში სცვლიან.
ყველგან წყლები მოითხოვეთ მ. ლაღიძისა და კომ. ამხან. ქარხნისა. ყურადღება მიაქციეთ ბოთლის საცობს, რომელსაც აზის ჩვენი ფირმის დაღი.
ფირმა დაჯილდოვებულია წყლების კარგი თვისებისათვის ოქროს დიდი და ვერცხლის მედლებით.

ფირმა „ნ. ლგოტაკი.“
თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 38. „რაზგონი“ ფოშტის პირდაპირ.
ველოსიპედები, მოტოციკლები, პატეფონები,
ავტომობილები, ფირფიტები, სასრიალოები, ლაუნ-ტენნისი, ფუტბოლი, საკერავი მანქანები, ელექტრონის ზარები. ყველა ამაების საჭირო ნაწილები და კუთვნილებანი. ავტომობილებისათვის ზეთი და საცხებელი.
პირველხარისხოვან ფაბრიკების სავაჭრო. ფასები კონკურენციის გარეშეა.
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ შეიძლება.
კატალოგები უფასოა. ნახმარი ველოსიპედები 25 მანეთიდან.
ბუაჩიძე, სტეფანოვი და კომპ.

გაიხსნა ტეხნიკური და ელექტროტეხნიკური კანტორა
მატერიალური საწყობით
„დვიგატელ“
ვ. ჟულიჯანოვი, ნ. როსტომაშვილი და ამხ.
(გოლოვინის პროსპ. № 38, „რაზგონი“ ფოსტის პირდაპირ).
მიიღება ყოველგვარი ტეხნიკური და ელექტროტეხნიკური სამუშაო.
მოწყობა ელექტრონის სადგურებისა. გამართვა ელექტ. განათებისა. სიგნალიზაცია ტელეფონი ელ. ზარები. ელექტრონული სეტყვის ამცდენები და სხვ:
(ГРАДООТВОДЫ)
ბევრნაირი ელექტრონული ეკონომიური ლამპებია ასარჩევი.

წიგნის მაღაზია
„ნოვაია რეჩ“ (ახალი სიტყვა)
ი. დ. კიკნაძისა.
მაღაზია მუდამ იღებს ახლად გამოსულ წიგნებს.
არიგებს საჯარო, საყმაწვილო, სასკოლო, საფაბრიკო ბიბლიოთეკებს და სხვ.
სხვა ადგილებიდან დაბარებას ორი დღის განმავლობაში ასრულებს მაღაზია.
თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირზოევისა, № 22.

თფილისის ოლქის სასამართლოსთან დაარსებულია ნაფიც ვექილების და მათი თანაშემწეები
კონსულტაცია
ძლევენ რჩევას სიტყვიერათ და წერილობით, აგრეთვე არიგებენ არზებს, სახივრებს და სხვა საჭირო ქაღალდებს.
ღიაა ყოველ დღე, უქმეების გარდა 10 საათიდან დღის 2 საათამდე.
ღარიბებს ფული არ ერთმევათ

ახალი წიგნების ბიბლიოთეკა
სასახლის ქუჩა, თავადაზნაურობის სახლი, ეზოში, მეორე სართული, მარჯვნივ № 126.
ყველა ახალი წიგნი რუსულ ენაზე შეიძლება დაიკვეთოს მსურველმა წასაკითხად.
სამი დღით . . . . . . 10 კაპ.
ერთი თვით . . . . . . 75 კაპ.
ბედ უნდა დასტოვოს წამღებმა 1 მან.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „გერმესი“ მუხრანის ქუჩ. № 13.